



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შური.

სულის მოწერა მიიღება: თფილისში - «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თბილისის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. — შინაური მიმოხილვა. — სხვა-და-სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთი. — წერა კითხვა. — საზოგ. წლიური კრება. — ყაჩაღი (გაგრძელება) მოთრობა ი. ევდოშვილისა. — ლექსი. — თამაშ-ლისა. — წერილები თიანეთიდან (დასასრული) ს. ჯ — ლისა. პსიხიურ და სოციალურ მოვლენათა თანდათანობაზე, (გაგრძელება) Tusci სა. — პასუხი 40-მეს. ურატაძისა — კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, ი. კაკაბაძისა. — წერილი „ივერიის“ რედაქტორის მიმართ — ა. მამულაიშვილისა — განცხადებანი.

რ ე ლ ა ქ ც ი ი ს ა ზ ა ნ .

ვაცხადებთ ხელის-მომწერთა საუბრადღებოთ, რომ, ვისაც ხვედრი ფული ღრბ აქვს შემოტანილი, მომავალი ნომრიდან «კვალი» აღარ გაეკსახენება.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

XIII.

როცა უკვირდები ღღვანდელ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ურთიერთობას, თანამედროვე საზოგადოების ნიკთიერ და სულიერ მდგომარეობას და ყოფა-ცხოვრებას, უბირველეს ყოვლისა თქვენ ყურადღებას იქცევს ერთი მხრით ქალაქი თავისი მოძრაი, დაუწყნარებელი და მუდამ მღელავი ცხოვრებით, და მეორე მხრით — სოფელი თავისი მომბეზრებელი ერთგვარობით და უფერულობით. ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს ღღვანდელ ქალაქსა და სოფელს შორის, თავის უკიდურეს საზღვრამდე აღწევს მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. რამდენათაც საზოგადოებაში ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა, იმდენათ უფრო თვალსაჩინო ხდება განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის, იმდენათ ერთი მხრით უფრო-და-უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს სხვა-და-სხვა ქვეყნის ქალაქები და მეორე მხრით უფრო-და-უფრო აშკარა ხდება განსხვავება ერთ და იმავე ქვეყნის ქალაქსა და სოფელს შორის. ამნაირათ, მაგ., თფილისის ბურჟუა გინდ ფაბრიკის თუ ქარხნის მუშა თავისი შეხვედრებით და ზნე-ჩვეულებით ბევრათ უფრო უახლოვდება ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების მცხოვრებთ, ვინემ ჩვენივე ქვეყნის სოფლის კაცს, ანუ მიწის მუშას. თავისთავით იგულისხმება, რომ ასეთი დაშორება ქალაქის ცხოვრებისა სოფლის ცხოვრებისაგან და თითოეულ იმათგანის განცალკევებული არსებობა ხანგრძლივი განვითარების შედეგია. თანამედროვე ქალაქის დასაწყისი უნდა ვეძიოთ ევროპის, განსაკუთრებით იტალიის, საშუ-

ალო საუკუნოების საქალაქო თემებში (город. община). საშუალო საუკუნოების ქალაქები პირველ ხანებში დიდათ არაფრათ განსხვავდებოდნენ სოფლიდან, რადგანაც ერთი და მეორეც სათემო ნიადაგზე იყო აგებული. პირველათ ქალაქიც იმავე თემობას წარმოადგენდა, როგორც სოფელი; განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ქალაქში ანუ საქალაქო თემში თავს იყრიდა განსაკუთრებით სხვა-და-სხვა ხელოვანი ხალხი და შემდეგ ვაჭრებიც. მართალია საშუალო საუკუნოების ქალაქში ძლიერ ადრე მოიხსილ სათემო ანუ კომუნალური წყობილება, რომელმაც სოფლათ კიდევ დიდხანს გასტანა, მაგრამ ქალაქი მაინც ახლო იყო სოფელთან, მათში წინააღმდეგობა არ არსებობდა. საზოგადოებრივ ცხოვრების სათავე ჯერ თემი და შემდეგ ბატონ-ყმური ანუ ფეოდალური სოფელი იყო თავისი ცხე-კოშკით და ეკლესია-მონასტრებით. ქალაქი ჯერ კიდევ თავისთვის, განცალკევებით ცხოვრობდა, ის ჯერ საზოგადოებრივ ყურადღებას არ იპყრობდა. ეს ის დრო იყო, როცა ევროპაში ფეოდალური ანუ ბატონ-ყმური ურთიერთობა ფეხს იკიდებდა, კომუნალური წესწყობილების უკანასკნელ ნიშნებს აქრობდა და მთელი ყურადღება იმ დროს მხოლოდ ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ბრძოლაზე იყო მიცემული. რომის უფლების ზეგავლენით ეპისკოპოსებმა, კოროლებმა და ბარონებმა თან-და-თან შეხუთეს და შეავიწროეს ძველი კომუნალური საზოგადოებანი: მიწის, კერძო საკუთრებათ აღსარებით იმათ დაარღვიეს საერთო მფლობელობის საფუძველი, და საქმე იმით დაბოლოვდა, რომ მთელი მიწა-მამული, რაც წინეთ თავისუფალ თემებს განუყოფელ საკუთრებას შეადგენდა, კოროლების, ეკლესია-მონასტრების და ფეოდალური თავად-აზნაურობის საკუთრება გახდა. ეს, რასაკვირველია, არ მომხდარა უბრძოლველათ და არც უშიშროთ, რომ ძველ გამქრალ წესწყობილებას შესანიშნავი და თავგამოდებული დამცველნი-მეცნიერნი არ გამოჩინოდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალ., ტომას მორუსი, სტაფორ-

ლი და კამპანელოა. მაგრამ ამით არ შეეძლოთ ისტორიის ბუნებრივი მსიღვრობის შეჩერება და მით უმეტეს შეტრიალება. ამის მაგალითებს, ასევე უნაყოფოთ ჩველილს, შემდგომი ისტორიაც ბერს გვაძლევს.

მაგრამ თეოდალიზმის გამარჯვებით სოფელს თავის წინანდელი მნიშვნელობა მაინც არ დაუკარგავს: ცხოვრების სათავე და დედაბოძა ბატონ-ყმობის დროსაც ისევ სოფელი იყო. სოფელს ძალა და გავლენა დაუკარგა ქალაქის აღორძინებამ და ზრდა-განვითარებამ: ქალაქმა გააუქმა ყწინარეს გოგლისა სათემო წყობილება, შემდეგ თანდათან ძირი გამოუთხარა ბატონ-ყმურ წყობილებას და ნატურალურ-პატრიარქალურ მიუზნეობას, და იმათ ნანგრევებში შექმნა და განვითარა სრულიად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ახალი საზოგადოებრივი კლასები, დაუკარგა ძალა და მნიშვნელობა ციხე-კოშკებს და ეკლესია-მონასტრებს და თვით შეიმოსა, — ერთი სიტყვით ქალაქი შეიქმნა საზოგადოებრივი ცხოვრების სათავე და დედაბოძი. და ყოველივე ეს მოიმოქმედა მან არა ტყვე-წამლის და თოფ-ზარბაზნის საშუალებით, არამედ ერთი მხრით მრეწველობა-აღებშიცემობის და მეორე მხრით საზოგადო კულტურის და მეცნიერების შესანიშნავი განვითარებით. სხვა-და-სხვა ქვეყნებში ეს მოხდა სხვა-და-სხვა დროს: იტალიაში და ინგლისში უფრო ადრე, ვინემ საფრანგეთსა და გერმანიაში და მით უმეტეს რუსეთში. ბატონ-ყმური დამოკიდებულების გაუქმებამ თითქმის ყველა ქვეყნებში გამოიწვია სოფლის ისეთ მეურნეთა არსებობა, რომლებიც ნატურალურა მეურნეობის წყალობით თითქმის დამოუკიდებელ ცხოვრებას ატარებდნენ. მართალია მრეწველობის და აღებ-შიცემობის ზრდა-განვითარებამ ჩქარა დაარღვია ამ დამოუკიდებელ მეურნეთა «ბედნიერება», მაგრამ მათი ცოტა ხნის არსებობაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ იმათი თაყვანისმცემელი გაჩენილიყვნენ. ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის დასაწყისში ამ დამოუკიდებელ გლეხებს აღტაცებაში შეიძლო მოეყვანა საფრანგეთის ისეთი გამოჩენილი მწერალი, როგორც იყო სიმონდი. აი როგორ ხატავდა იგი სოფლელების იდილიურ ცხოვრებას: „ყოველგან, სადაც კი საგლეხო მიწათ-მფლობელობაა, თქვენ შეხედებით კეთილ-დღეობას, დამოუკიდებლობას, რომელიც ანიჭებს ადამიანს ბედნიერებას და კეთილ-განწყობილებას. გლეხი, რომელიც თავისი ცოლშვილის შემწეობით ასრულებს ყოველგვარ სამუშაოს თავის მიწაზე, რომელიც არ იხდის არც საიჯაროს, არც მუშის ქირას, რომელიც თავის წარმოებას ზომავს თავის მოთხოვნილებით, ქამს თავის საკუთარ პურს, სვამს საკუთარ ღვინოს, იცავს თავისივე შრომით მოქსოვილს, — ასეთი გლეხი ცოტას ფიქრობს ბაზარზე: იგი ძლიერ ცოტას ყიდის თუ ყიდულობს და არასოდეს არ გახდება სააღებ-მიცემო კრიზისების მსხვერპლი“. სიმონდის სიტყვებს სხვა-და-სხვა კოლოზე იმეორებენ სხვათა შორის რუსეთის და შემდეგ ჩვენი ქვეყნის ხალხის მოყვარულნი და ნახევრათ განსწავლილნი ვაჟბატონები. სამწუხაროთ, ასეთი დამოუკიდებელი გლეხები დღეს არა თუ ევროპაში, ჩვენშიაც რომ სანთლით ეჭებოთ, ვერსად აღმოაჩნეთ. ასეთი გლეხი დღეს მხოლოდ ოცნებას შეუძლია შექმნას. დღევანდელი გლეხი სულ სხვა წარათ ცხოვრობს: იგი სრულიად

ალარ ამზადებს თავასთვის ტანსაცმელს, მას არა აქვს, უმეტეს შემთხვევაში მაინც, თავისი სამკვიდრო მანქანა, ამიტომ მხირათ იხდის სა-ჯაროს; ხშირად იგი ქამს მხოლოდ თავის ნაშუშვეარ პურს, დანარჩენს იგი ყველაზედ ყიდულობს და ამიტომ თავის მხრით იხუტვებულია გაყიდოს ან რამე თავის ნაწარმოებზე; პური იქნება ეს თუ ღვინო, ან კიდევ ვაჭარის ბაზარზე გასაყიდათ თავისი სამუშაო ძალა. ამგვარათ თანამედროვე გლეხი შეიქმნა სრულიად დამოკიდებული ბაზარზე. საქაროა უფრო სავსებით გავითვალისწინოთ აქ ჩვენი დღევანდელი სოფელი და აღვნიშნათ, თუ საითკენ არის მიმართული მისი განვითარება ან თუ რა მომავალი აქვს მას.

მოგვხსენებთ, რომ ჩვენ სოფელს ბევრი მოტრფილე ყავს, რასაკერძეოდ, არა გლეხებში, რომლებსც თანთან ბედს მუდამ წყველა-კრუტვით იხსენიებენ; არამედ ქალაქის მცხოვრებლების ერთ ნაწილში. ამ ვაჟბატონებს, რომლებსც გლეხის ცხოვრებას სრულყოფით არ იცნობენ, გონიათ, რომ გლეხს ცა ქუდათ აქვს და მიწა ქალამათ, და მხვეც მხოლოდ მასთვის ანათებს. მართალია ამ ბოლო დროს ისეთ ტბილ ოცნებას ცოტა სიწარვე დაერიო, რადგანაც ასე იყო თუ ისე, იმათაც გაიგეს, რომ გლეხობის ერთ ნაწილს მიწა-ადგილი თან-და-თან ხელიდან ეცლება, შინა მრეწველობა ქრება, და გლეხს აღარ ყოფნის მიწის მოსავალი თავის ათას გვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ყველა ამის შედეგი ის არის, რომ გლეხ-კაცობის ერთი ნაწილი სოფლიდან მოდის და იქ დაბრუნება ქირით ეზარება. მაგრამ „ხალხს მოყვარე“ და კეთილ-მორწმუნე ინტელიგენტები, სოფლის შინა მრეწველობა რომ ისევ ააყვავონ, გლეხს ურჩევენ: ისევ სოფელში დარჩი, ქალაქი შენ ხერს არ დაგტყრის; გაგზავნის, გადაგავგზავს და სხე. მაგრამ ეს მხოლოდ თავისი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი: ეს რომ შესრულდეს, ისტორიის ჩარხმა უკუღმა უნდა და წყოს ტრიალი. ახლა ერთი ის გიკითხოთ, თუ რა სანატრელია დღევანდელი ჩვენი სოფელი. ჩვენი შეხედულებით; დღეს სოფელი უკან ჩამორჩენას ნიშნავს, სოფელი კი — უსწავლეოს, შეუგნებელს, ველურს. თავისი უკან ჩამორჩენით სოფელი აფერხებს საზოგადოებრივ წარმატებას, წინსვლას. როგორც ზევით ვამბობდით, ინტელიგენტის ერთ ნაწილს ნამეტნავათ მოწონს ჩვენი გლეხის ცხოვრება და საქმით თუ არა, სიტყვით მაინც ცდლობს, რომ გლეხი სოფელს არ მოცილდეს და მიწის მუშაობაზე ხელი არ აიღოს. მაგრამ ეს დალოცვლები, ერთხელაც არის, არ ეკითხებიან თავის თავს, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი გლეხი, დღევანდელი სოფლის მუშა. ვაეს იგი რითმე წინა დროის კომუნალური საზოგადოების, თემის წევრს, ან იმ დამოუკიდებელ მეურნეს, რომელსაც აღტაცებაში მოყავდა სიმონდი? სრულებითაც არა: თანამედროვე გლეხი სულ სხვაა. შინა მრეწველობა, რომელიც ნატურალური მეურნეობის დროს, დიდი შედავათი იყო გლეხისთვის, დღეს აღარ არის... დაგვჩენია გლეხ-კაცობის მესამე ნაწილი, რომელსაც მიწა-ადგილი აქვს და იმის მოსავლით უძღვება თავის ოჯახს, მაგრამ ჩვენ გავიგებთ ცოტა ქვევით, სხვა ქვეყნების მაგალითიდან, თუ როგორ უჯდება მას ეს გაძლოლა. ყოველივე ამის გამო თანამედროვე გლეხ-კაცობის ერთი ნაწილი იძულებული ხდება, სოფელს თავი



დაანგბოს და „გარეთ“ სამუშაოზე წავიდეს, ეს «გარეთ» არის ქალაქი ან სხვა სამრეწველო თუ სააღმშენებლო ადგილი. ვინც ქალაქში მიდის, იგი არა თუ თითონაც აღარ ბრუნდება სოფელში, არამედ სხვებს უკაფავს გზას იქითკენ, სხვებს უადვილებს ქალაქში წასვლას. ეს აიხსნება მით, რომ ქალაქში კაცი ადვილათ შოვილობს სამუშაოს და სოფელთან შედარებით უფრო მეტ ქირას იღებს; ეცნობა რა გლეხი ქალაქის ცხოვრებას, იმას სოფელში დაბრუნება აღარ უნდა. გლეხიდა რწმუნებულია, რომ ქალაქში მას ვერ შეაწუხებს ვერც მამასახლისი და ვერც გზირი, ვერც „ბოჩიკი“ და ვერც სხვა ვინმე. ამასთანავე აქ იგი ეცნობა ისეთ რამეებს, რაც მას სოფელში სიზმარშიაც არ მოელოდებოდა. ერთი სიტყვით ქალაქის ცხოვრება აღვიძებს კაცს, აძლევს მას ძალას; ერთი დღით ქალაქში ცხოვრება რომ მიცემს კაცს, იმდენს იგი სოფელში თავის სიცოცხლეში ვერ ნახავს და ვერ გაიგებს. სოფლის ცხოვრებიდან კი აი რა აგონდება გარეთ გასულ გლეხს: დღე და ღამე გამუდმებული შრომა, ცარიელი კუჭი, დაკონკილი ტანსამოსი, შიშველ-ტიტველი ბავშვები. სოფელში მუშის ხელფასი ქალაქთან შედარებით მცირეა. მაგრამ ამ ბოლო დროს ამ მცირე ხელფასის შოვნაც გასაჭირია. სამეურნეო მაშინების შემოღება, რაც ჩვენში ჯერ კიდევ ახალი ამბავია, თან-და-თან უკარგავს გლეხებს სამუშაოს. ეს კარგათ იგრძნო თვით ჩვენი ქვეყნის გლეხ კაცობამ. ამ ორი-სამი წლის წინეთ ქიზიყში გამოცადეს სამკალი მაშინები. ამის გამო გაზ. „ვერიის“ კორესპონდენტი წერდა: როცა ხალხმა დაინახა, რომ მაშინით მომკა ბევრათ სასარგებლო და უმჯობესია, იგი ორ ნაწილათ გაიყო: ერთი ნაწილი, მდიდრები, სიამოვნებით მიეცება სამკალი მაშინების შემოღებას და მაშინვე შეუდგა იმათ ნექნას; ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც თავის სამუშაო ძალას ქირაზე ყიდის, დაიღრიალა: „დავიღუბნით! სადღა უნდა ვაცხოვროთ ჩვენი ცოლ-შვილი! ეს ტიალა ეშმაკის მანქანა ვილასთვის გაუშვებს სამუშაოს! ვაი ცოლ-შვილო დაღუბულო!“<sup>3)</sup> უეჭველია, რომ ეს „დაღუბული ცოლ-შვილის“ პატრონები დატოვებენ სოფელს და გარეთ მოძებნიან სამუშაოს. ჩვენ არც იმაში გვაქვს ეჭვი, რომ შედარებით სოფლის ცხოვრებასთან არც იმათი ცოლ-შვილი იქნება დაღუბული.

რომ სოფელი ქალაქთან შედარებით ცალიერდება, ამას აშკარათ ამტკიცებს ის გარემოება, რომ ქალაქების მცხოვრებელთა რიცხვი მატულობს, როგორც აბსოლიუტურათ, ისე შედარებითაც. ამასთანავე ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლიდან «გარეთ» მიდის უმეტეს ნაწილათ გლეხ-კაცების უფრო საუკეთესო ნაწილი, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს სოფელი; ეს საუკეთესო ნაწილი ემატება ქალაქს და მით კიდევ უფრო საგრძნობელი ხდება სოფლის დაქვეითება და უკან ჩამორჩენა. ამნაირათ თანამედროვე სოფელს სამუდამოთ ეკარგებიან როგორც გონებით, ისე ჯანით საუკეთესო წევრები. ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს შეუძლია ამის გაცო რამდენიც სურს, იმდენი ცრემლი ღვაროს, ეს საქმეს არას უშველის. ჩვენი ხალხს მოყვარულნი გამუდმებით გოდებენ, რომ სოფლის ხალხში თან-და-თან ძლიერდება რალაც

ნაირი უნდობლობა მიწის მუშაობისა, მას რცხვენია სოფლური ტანსაცმელის, რომელსაც ახალგაზდა ბიჭები ქალაქში მისვლისთანავე იცვლიან კურტკაზე, ახალ მოდის ქულზე და სხვ. ახლა ქალიშვილებს არ იტყვიო? ისინი ხომ ქალაქში ბიჭებზე უფრო ჩქარა თავისუფლდებიან სოფლური ზნე-ჩვეულებისაგან და ჩითის მოსახვევის მაგივრათ თავზე იხურვენ შლიაპებს და სოფელში დაბრუნებას ურჩვენიათ ცუდი საქმის ჩადენაც კი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ კურტკებს და შლიაპებს ქვეშ იმალებიან ახალი იდეები, შეხედულებანი და მოთხოვნილებანი, და უწინარეს ყოვლისა ჩვენ აქ ვხედავთ სოფლის ხალხის ლტოლვილებას ქალაქის კულტურისაკენ, ერთი სიტყვით მის გაქალაქების სურვილს. ამ ნაირათ ეს მოძრაობა წარმოადგენს მეტათ ღირსშესანიშნავ და იმავე დროს ფრიად სასიამოვნო მოვლენას. ეს ჩვენი გამოგონილი არ არის: ასევეა ყოველგან, მაგალითისთვის დავასახელოთ აქ გერმანია. რუდოლფ მეიერს მოყავს ერთი კაცის წერილი, რომელშიაც ნათქვამია: «ერთხელ თუ ახალგაზდობამ გაიცნო ქალაქი სამხედრო სამსახურის დროს, იმას აღარ უნდა ხანგრძლივი და მძიმე შრომისთვის მცირე ხელფასის მიღება და მიდის სხვა ადგილას»...

ვინც ჩვენ სიტყვებს ისე გაიგებს, რომ ჩვენ ვითომც სოფლის სრულ დაცალიერებას ვქადაგებდეთ, იმას ალბათ არა გაეგება რა ან და განზრახ დაიხუქას თვალებს. სოფლის სრულიად დაცალიერება შეუძლებელია, და ეს არც საქირია. საქირია და მოხდება კიდევ, რომ ზედმეტად მცხოვრებლებმა სოფელი დატოვონ, და ტოვებენ კიდევაც.

მოსაუბრე.

### შინაურნი მიმოხილვა.

ბ-ნი ცსკეთამას თავმჯდომარეობით დაწვეული კრება წყარო-კითხვის საზოგადოების წარსულ კვირას ბ-ნი ილ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობათ გაგმქელდა და იმედაა დღეს ისევ ბ-ნი ცსკეთამას თავმჯდომარეობით დაბოლოვდება, რადგანაც სამშობლოს განსაცდელი აცა და ბ-ნი ილ. ჭავჭავაძე სომოსლოთ მ.შან იწუხებს თავს, რადგანაც სამშობლოს განსაცდელში ჭსიდავს. წარსული კრებები ფრიათ საყურადღებონი იყვნენ. აქ ეკვლასი იკან თვალსაჩინო შეიქმნა ჩვენი ცხოვრების მდგომარეობა; აქ ერთმანეთს შესხდა ჩვენი საზოგადოების სსკა-და-სსკა ნაწილი პრაქტიკულ ნიადაგზე და მუერებლისათვის ცხადი იყო, თუ რა განსხვავება და როგორი განწყობილება ასსებობდა მათ შორის. ერთი მხრით ძველი ინტელაგენცია, მეორე მხრით ახალი, — აი ვის ვსუდავდით ჩვენ ამ კრებებზე. პირველი მოკადუნ მოსლოთ იმ მიზნით, რომ თავისი თავი დაქნასკუბათ და ეუწუებათ: ჯერ არ მომკვლარვართ, ცოცხალი ვართო. მათ უფრო თავისი თავი აინტერესუბდათ, ვიდრე საზოგადო საქმე. მეორენი კი მოიწვიან საზოგადო საქმის სიყვარულმა. პირველთ უცხოკრიათ, ბუკინც გაუკეთებიათ, რისთვისაც მთდამა მადლობისა და პატავისცემის მეტი აწაფური არავის უმართებს. მეორენი კი ახლა გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე, ახლა აპირებენ მოქმედებას და ძველი ახლობა უოკელ დონეს ქმარობს მათ შესაფერსებლათ, თითქოს საზოგადო საქმისადმი სიყვარული მარტომის მანობოლასი შეადგენდეს. აი აქ არის ძველი თაობის

<sup>3)</sup> იხ. „ივერია“, 1899 წ., №№ 135, 140.

დადი შედგომის; რაც უფრო გადავლობება ის წინ ხეინა რსობის ახალ მიმდინარეობას, მით უფრო მეტ გამოწვევას გამოიწვევს, მით უფრო შესუსტებს მომავალი თაობის პატივისცემის მიმართ. მიმავალი თაობისადმი...

გვერდს უსაჭიროებს გითხვას, რომელიც წინააღმდეგობის გრძობას გადაწყვეტს, ან ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის მოწვევა. ამ სკოლაში 200—მეტი ბავშვი სწავლობს, საჭირო მასალის გარეშე ანის დაყენებულო, მაგრამ რსადია ვერადასათვის, რომ ამდენ მასწავლებელს ორი მასწავლებელი ვერ გადავლობა. მიუხედავად ამისა, რომ მასწავლებლები თავის შრომისა და მასალის ანაზღაურებას და სწავლის საჭირო საუკუნო მთავრით, მათ მასწავლებლის მაგიერ საუკუნო რსმით: ვინ გარანდით ძალას, რომ ამდენი მასწავლებელი მიიღეთ, ეს რომ დარღვევას შედგომითი პრინციპისა. ხვინ ან გამოკვლეებით აქ იმის რეკვირს, თუ რამდენათ ანის აქ დარღვეული შედგომითი პრინციპი, თუ რამ ათუფას მასწავლებლები, ამდენი ბავშვის მივლათ, ხოლო საჭირო იმისა, რომ დარღვეულია თუ ანა პრინციპი, სასოგადოებას თვალწინ უდვას ის ფაქტი, რომ ამდენი ბავშვისათვის ორი მასწავლებელი სრულყოფით ანა გარდა და საჭირო მსოფლიო მესამე მასწავლებელი უშეკლიდა და ანა იმის ძიება, თუ ვინ ანის დამნაშავე. გრძობა გადაწყვეტს მესამე მასწავლებლის მოწვევას, მაგრამ მარტო გადაწყვეტს ანა გარდა, განსორილება ანის საჭირო. ამისათვის ვი მიუღივი წყაროს საჭირო, რადგანაც ყოველთაინ გარტო შემოწინებულის იმედი ან უნდა გრძობდეს. ამიტომ გარტობის მოკვლეობას შეადგინს, ამ საჭიროს ახლავი მთავრით ყოველდღეს, რომ მესამე მასწავლებლის მდგომარეობა მარტოაღუწით უსრულყოფილ ჭიროს. თუ ვი გამოკვება ენერგიულია მოკვდეს ამ საჭიროს ხელს, იმედი ბათუმის სასოგადოებას დასმარებას აღმოუჩინს და შეადგინებს მესამე მასწავლებლის შენახვას.

\*\*\*

მიუხედავად ამისა რომ ბათუმში ერთი საუკუნო რინტობის ხვინში, ქართული ტრეზნა იქ დღემდე ან ანახობის. ამ უმთავრის მოკვარულია შეუდგინათ სასოგადოება ქართული წარმოდგენების გასამართლებათ. გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ხვინ წარმოდგენებს უმთავრესათ დახალი ხალხი და წარული მახლები გარტობან. ამიტომ ბათუმის სასოგადოებასაც უმთავრესათ ეს ხალხი უნდა ჭეკდეს მსიდეგლობაში. თუ ბათუმის სასოგადოებას უნდა, რომ წარმოდგენებს მტკიცე ნიადაგი მოუზოვოს და მსწავლე სასოგადოებასაც სარტებლობა მოუტახოს, მისთვის სინი უმთავრესათ პრინციპს აუცილებლათ საჭირო: ის სინიდასიერათ და ენერგიულია უნდა მოკვდოს საჭირო, ადგილებს იქსი ისე უნდა დანიშნოს, რომ თვარტრი ყველასათვის სულმისწოდში გახადოს და რეპრტუორი დაფიქრებულათ უნდა შეიმუშაოს; რადგანაც რიგი ნი ორიგინალური პიესები ხვინ ძალიან რტო მოკვებობა, უცხო მწერალთა პიესებს საშატო ადგილი უნდა ჭქონდეს დათმობალი. მსოფლიო ამ შემთხვევაში მიიზიდავს ხალხს ბათუმის ახლათ დაარსებული სასოგადოებას და სამუდამო ქართულ დასს ნიადაგს მოუშნადებს.

\*\*\*

3 ნოემბერს გამოუჩინის კომიტეტის სხდომა ჭქონდა იმ გითხვას გადასაწყვეტათ, გადავდვით გახატულიათვის გამოუჩინა, თუ ახლავი დავხუროთ. სხდომაზე გადაწყვეტა გამოუჩინის გარტობა შეიმდგოს წლის გახატულია. წვეკვანდელმა გამოუჩინამ თავის მიზანს სრულყოფით ვერ მიღწია: ვინც ფუ-

ლის მოკვებას ელოდა მათ 20,000 მანეთამდე წარმოდგენა ვადა, სასოგადოებას ვი გამოუჩინამ ვერაფერი ვერ უთხრა იმის შესახებ, თუ რა ბივი წადვა ხვინმა მსარემ ამ ასი წლის განმავლობაში. ვერც ერთ ნაწილს ვერ ნასავთ გამოუჩინა რიგანათ მოწოდებლს, აქაური ცხოვრების ანც ერთი მხარე ან ანის იქ ცოტათ თუ ბევრათ ნათლათ დასტული. გამოუჩინის გარტებულებას მსოფლიო იმ შემთხვევაში ექნებო ანცი, თუ კომიტეტი მაქტვეს ყურადღებას ვეკლა იმ ნაკლებეკვანებას, რაც გაკეთებდა იუ ადნიშნული, ეცდება შემდგომისა დავკარათ შეასოს ყველა ნაკლი და მომავალ გახატულია მინც წარმოუდგინოს სასოგადოებას აქაურა კულტურული მდგომარეობის დეკანდელი სურათი.

სხვა-და-სხვა ამბები.

დღეს დღის 11 საათზე სათავადა-სხ. ურო ბანკის დარბაზში დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოების წევრთა წლიური კრების გარტებულება.

დღეს საღამოს 8 საათზე, კეტტელის დარბაზში მისი-ლეს პრასპექტზე გართულია იქნება საღ მო წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოების უფასო წიგნ-საცავების სასარტებლოთ. სტენის მოკვარენი ითამაშებენ ანინის ორ მოქმედების კომედიას: «გარტებულ იმედებს». წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ტეკვა. ბილეთები იყიდება თვით დარბაზის კასსაში.

ბალსანაში შემდგარა პატარა წრე, რომელსაც მიზნათ აქვს, ბალსანაში მომუშავე ხალხისათვის სასალსო კითხვები გამართოს ბუნდოვანი სურათებით.

როგორც «ცნ. ფურც.» იწვევს, ბ-ნ ვ. ბაშიძეს თავი დაკრებობა ქართული თვარტრის რეესორბობისათვის და მის ხალხლათ მსახიობთ აურჩევით ბ-ნი ვ. ტუნის.

სიღნაღის მახინაში გარდმოსახლებულ რუსებ შორის ციგ-ცხელება ისე მიქინარებს, რომ ტუბერნის ექიმი თავისი თანამუქუთი და ორი სამხედრო ექიმი იქმენ იქ გატახნილი ზომების მიხატებათ და გარდმოსახლებულთათვის საუკუნო ადგილის ამოსახევათ.

მომავალ სურთბათს, 15 ნოემბერს, დანსხულია ბენეფისი ნატეორი მსახიობი ქალის ქნ ელ. ხერქეზიშვილისა. წარმოდგენილი იქმნება «მკვები და ცხარები». 5 მოქმედების კომედია ოსტროვისისა და «დღის კრთა», 1 მოქმედებისა ვოდევალა ვ. ტუნისა.

ქალქის გამეკობას განუხრახავს, დასმარება აღმოუჩინოს ნამდვადევის სამეითხელოს, რადგანაც მის მუშა ხალხისათვის დიდი სარტებლობა მაქქს და შემლება ვი ან გახინია.

კორესპონდენციები.

ს. იანთი (ქუთაისის მხარა). იმას ვტიროდით, რომ იმ წვეულმა ფელაქიური კინახები სულ მთლათ გტეხიდა, და წელს ვიდეკ მუარე ტირც ზედ მიგვეტა. ხვინ იმედ



სიმინდის მოსავალი იყო და ისიც გაიყუდა: სიმინდის მოსავალი განახევრდა და მარცვლიც შარშანდელისავე კარგი არა აქვს. —სადაც უნდა მასკიდეთ სოფელში, ამგვარ საყუდურს გაიკონებთ გლეხებსაც. და მართლაც, სიმინდის მოსავალი წელს შარშანდელთან შედარებით ძლიერ დაეცა არა მარტო იანეთში, რომელსაც შესანიშნავი ადგილები უჭირავს მდ. გუბას წყლის და რიონის ნაპირებს, არამედ მთელ ქუთაისის მხრებში. იმ ადგილებში, სადაც 5-6 ურემ სიმინდს აგროვებდნენ, წელს 3-4 ურემივ არ მოსულა. მიხედა წყლისადაც მოუსავლობისა იყო ცუდი ამანდები და კოვის პირული წვიმება. სოკულ-გაყენილი მიწის დამუშავება თოსით ხომ შეუძლებელია, ამით ბელსმა ისარგებლა და ისე გაიკრა იესეები, რომ როცა თოსით ვერაფერა მოუხერხეს, ვაგ-უდლით სამეორელო სიმინდს ხენა დაუწესა. რასაკვირველია, ამისთანა მუშაობა სიმინდს დიდ ხარკებულობას ვერ მოუტანს. დღიური მუშის ჭირა 1 ო. — 1 მ. 20 კ. აღმატებულად და, ვინაც შეეძლო, მუშის დასმარებით უანების მეორეთ გათოხნა მოასწრო. მაგრამ დიდი ნაწილი უანებისა უშეორელოთ დაზნა.

ბევრი ღანძრავობს ნაღვლანათ: რა ექნათ, სარჩო აღდგომა-დღემდინ აღარ მიგვევება და მერე სიმინდის უიღვას უნდა შეედეგეთო. ამ გარემოებით დაფიქრებულმა იანეთლებმა შემდეგი მოიფიქრეს: დაიარსონ შემსხველ-გამსესებელი ამსანავობა ანუ სასიმინდე, რომელშიც თვითუღმა გლეხმა უნდა შეიტანოს სიმინდი არა ნაკლებ სეთი ფუთისა და შემდეგ, ვინცობაა სარჩო შეკვდა, შეუძლია ისეისოს თავისი შეტანილი სიმინდის კვლობასე. ამით შეგვიძლია არა თუ საწვალს გლეხს სული შეეწყოთ გაჭირვების დროს, არამედ სასიმინდის თანსაც განვიძლიეროთ და შემდეგ მით რაიმე კეთილი საქმე ვაღორძინოთ.

დიდი მადლობის დიხსნი არიან: ბ. გ. კობახიძე, რომელიც გულ-წრფელათ ევიდება ამ საქმეს და ცდილობს მის დამთავრებას, და ბ. ი. კოსრეიძე, რომელმაც ამ საქმისათვის საზოგადოებას სასიმინდის შეწირვა აღუთქვა.

იანეთლებმა ამ ორი წლის განმავლობაში სწავლა განთლების სიყვარული გაიორგვეს. იანეთი, რომელიც კუთვინის ეწერის საზოგადოებას და 180 მახასლე გლეხსაცავისაგან შესდგება, ისახავს ორ სკოლას: ერთს ს. ეწერში, ეწერლების დასმარებით და მეორეს იანეთშივე —საკუთრათ. იანეთის სკოლა წელიწადი რაც არსებობს. 13 აგვისტოს, ს. ეწერში იანეთმა ეწერის ერთგვარსა სკოლის ორ კლასიანათ გადაკეთების შესახებ ოქმის ფურცელს სული მოაწერა; მალე არც თავისი სკოლა დატოვა უურხადებოთ. 20 ენკენისთვეს 1901 წ. იანეთის სკოლის დარბაზში მოხდა გრება, რომელმაც ამ დღეს ორი განახენი დაადგინა: 1) იმის შესახებ, რომ არსებული იანეთის ერთგვარსა სასწავლებელი გადაკეთდეს ორკლასიანათ რისთვისაც უნდა საზინას რამდენიმე შემწეობა ეთხოვოს. 2) ორკლასიანათ გადაკეთებამდე სკოლას მარალეური განყოფილება უნდა მოესატოს და მეორე მასწავლებელი დაქირავებულ იქმნეს. მეორე მასწავლებელი უკვე მოიწვიეს. მთელი სკოლის მასწავლებლის რიცხვი დღეს 110 აღმატება. დიდი მადლობის დიხსნი არიან უველა, ვინც ამ კეთილი საქმისათვის თავისი შრომა და დეწლი არ დაიშურა. უსურვებ იანეთლებს გამარჯვებას უოველ ამგვარ კეთილ საქმეში.

ბ. ჯინაიშვილი.

ბ. ბოგაში (სენაგის მხრე). დ. ნოვოდალეკს მეზობლათ ავრავს მატარა ს. ბოკაში; ეს სოფელი სულ 200 — თუ 250 საყენით იქმნება მოშორებული დაბასე, მარა უგზობობისა გამო თითქმის სრულად ჩამოტყნისა ნოვოდალეკსაც, სკოლას, ეკლესიას, ექიმ-ფურცლებს და სხვა მართლობისაც ვი, ნამერე უვადრებში. ამ სიკაცსე გასულ წლებში არა ერთსელ ამამკავს ვითხვა საზოგადოებაში გზის გასაშვობისებლათ, ბოლოს გასეთობისც მივმართეთ, იქნებ უფრო მაქციონ უურადლება მეთქა, მარა რაღაც იხეხებისა გამო ვითხვა-ვითხვით დარჩნა და გზა ისევე იმავე მდგომარეობაშია. სასურველია, რომ ბ-ნი დავალი ამ გზასაც მაქცივედეს უურადლებას და რაგორმე გააკეთებდეს. იმედია, ის შრომბი, ვინაც მანდობილი აქვს სოფელეთა ცნობების გასაშვობისებლათ შარუნა-გამგობა, მაქცივეს ამ გზას უფროგან უურადლებას და ამით მისცემენ ჩვენს მატარებს შევირდებს სკოლამი სიარულის საშუალებას, რადგან ეს ერთით ერთი გზას ბოგაშელთა სასიარულდ და მასე მამოსვლა ვა ვადრებში შეუძლებელია. ამ გზის გაშვობისებლათ არა თუ ერთსა და ორს გაუწვიეს სამისხერს, არამედ მთელ ბოგაშელ საზოგადოებას და აგრეთვე იმ სოფლებსაც, რომლებიც ამ გზას ვერ ასცდებიან.

ბ. ბოგაშელი.

რუსეთის ცნობებზე.

— შეტობურგის უნივერსიტეტში განუხრასავთ დადარსონ ორი უფასო გურსი: შედურა გიშნასტიკისა და ენობრ-გვილობის მკურნალობისა.

— გ.ს. «როსია» იუწეება: დელორალ ევტერინა შეორის საშობო ინსტიტუტის საბჭომ შემეშვა შრომეტა სტუდენტების გრებების შესახებ. ეს შრომეტი შეტანილ იქნება ინსტიტუტის რეფორმათა საერთო შრომეტში.

— რაგორც გ.ს. „PCC.“ ატობინებენ საწარმოვიდან, იქ განუხრასავთ დადარსონ სამეურნეო სასწავლებელი ქლები-სათვის.

— რადგანაც კომერციული სასწავლებლები ამ ბოლო დროს მადან მრავლებიან, ამიტომ ფინანსთა სამინისტროს განუხრასავს, გასინას სადა ფილოლოგიური ფაგულტეტი კომერციულ სასწავლებელთათვის მასწავლებლების მოსამხადებლათ. ვერსა იქნება საში და ლექციები უფასო.

ს ა ს ლ ვ ა რ ვ ა რ ე თ .

საზრავნითი. ნაციონალისტთა გასეთები სასტიგათ ჰეიტსავენ ვალდე-რუსოს სამინისტროს საფრანგეთის ჯარის მატელენდან გამოწვევისა გამო. ერთი გასეთა ამტიცებს, მთავრობა ს.მთა ვავშირის მქვარამ მუდინაო, სხეება საფრანგეთის უან დასეკას იმ გარემოებათ სხინან, ვითომ რუსეთის მისთვის დასმარება არ აღუთქვას.

ინფლიისი. როგორც სოციელოთი გასეთები იუწეებინ, ვოლმარანს შეუდგენას ხავის შრომეტში. ხავის ანტილებელ შირობათ ტრანსკავალისა და ორანეუს რესპუბლიკის სრული დამოკიდებულებას. სამაგიეროთ მათ დარ უნდა იოლოინ თავისი სადომლომატო წარმომადგენლები ევროპაში. როდესაც კრიუკი შრომეტს მოიწონებს, მაშინ ამ შრომეტს შეატობინებენ სხვა სასელმწიფოებსა და ბერებს. მაგრამ ბევრი ეტშია, რომ ინგლისი ამგვარ შირობებსე დათანხმდეს.

29 ოქტომბერს ოპოზიციის ლიდერმა კემბელ-ბანკ-მანმა სიტყვა წარმოსთქვა იბერდიანის მიტინგზე. ოპოზიციის ამ აზრის იყო თავის სიტყვაში, რომ ინგლისმა, რაც უნდა დაუფლავს, უნდა გაამარჯვოს, სოლო ბურებს თვითონ თვით-მართველობა უნდა მიენიჭოს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ქვეშ. მაშინ ბურები არც თავის კრონებს დატოვებენ და ბრიტანეთის ერთგულ მოქალაქეთაც გახდებიან, დაბოლოვდა ოპო-ტიონმა.

**სამხრეთ-აზრიკა.** ამ უმათ ბურს ლანჩაკობენ ბურების ასალგაზდა სარდალზე, მორიციზე. ეს არის ასოკანი ტანისა და მეტათ თავზე სელადებუდი ასალგაზდა, სულ 25 წლისა. კოლენზოსთან ბრძოლის დროს მან ზოგჯერ გაპო-მდინარე ტუტელი და გაუადა მეორე მხარეს, რომ ბუელერის-სათვის წარბაზნება წაერთმია. ასლა მორიცი ჯარის უფრო-სია და კიტინებს მოსვენებას აღარ აძლევს.

კიტინებს ეშინია, ბურები კიდევ არ შეიქცნენ ნატლ-ში, და ამიტომ ნატლის სამხედროების გამეგრებას შეუდგა.

ზრეტორიაში გამაჟკეუნიეს ბურების 14 სარდალის გა-რი; ამათ ყვალს სამშობლოდან საუფროთ გამეგრება აქვთ გა-დაწვეტილი, ამ რამდენიმე კვირის წინეთ ინგლისელებმა სი-კვდილით დასაჯეს ერთი ბურების სარდალი ლოტორი. ასლა მისი ძმაც ტუტე დაუტყვიათ ინგლისელებს და წამოღობა მიუსაჯათ. ეჭვი არ არის, ინგლისელების ასეთ მსვენურ ზომებს შედეგათ ის მოჰქვება, რომ ბურებიც სიკვდილითვე დასჯიან ტუტე წაყვანილ ინგლისის ოფიცრებს.

**ისპანი.** ისპანიის ბურს ქალაქებში ამ დღეებში მოს-და ხმოსხების არჩევნები; საზოგადოება ძალიან ამხედრებულია დღევანდელი წიგნების წინააღმდეგ. ბარცელონაში, სარაგო-საში და სხვ. მთავრობას მომხრენი დამარცხდნენ. არჩეულ იქ-მნენ რესპუბლიკანები, სოციალისტები და რეფორმისტი-ტები. (რეფორმისტიებს უწოდებენ იმ პირთ, რომლებიც ითხოვენ, ისპანია რამდენიმე დიდ ოლქებათ დაიყოს და თვი-თოეულს თვითმართველობა მიენიჭოს). საზოგადოების აღელვება ბურგან იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთს და-ადმინისტრაციასთან შეტაკებაც ეა ოსდა, რასაც ბურის მსხვერპლი მოჰქვია.

**ბერმანი.** აფრიკაში ომის დაწყებისა გამო იქიდან და-ითხოვეს გერმანიის ბური ქვეშევრდომი, რის გამო მათ წა-რადი მოუვიდათ. გერმანიის მთავრობა ინგლისს თხოვდა ამ წარადის ანაზღაურებას და ამ უმათ მიუღია 30,000 გირ. სტრლინი.

**ოსმალეთი.** ბერეთში და სირიის სხვა ალგებში მა-ჭმადანთა და ქრისტიანთა შორის განწყობილება საშინლათ გამწვავებულა. მათ შორის ხშირათ შეარადებული შეტაკებაც ხდება, ასე რომ ხალხობათ გარეთ გამოსვლა საშიშია.

მდინარე-ფაშას შეიქმნა წრდილით მიუმართავს გერმანიის კანცლერისათვის და უთხოვია, იშუამდგომლეთ როგორმე, რომ ოსმალეთის შინაურ წიგნობებში რეფორმები მოხდეს.

**ჩინეთი.** ლისუნჩანგის ოქსობამ მრავალი სამომარო მიიღო სხვა-და-სხვა მთავრობისაგან. ის ქენა, სადაც მიცვა-ლებულის სახლად, საუცხოვრთ არის მორთული. ჰუგინის მა-დალ მოსვლას თეთრი ტანისამოსი აცვიათ გლოვის ნიშ-ნათ. ლისუნჩანგის საცხოვრებელი თურმე სამ მილიარდ ფრანკს უდრის. ამდენი ფული მან შეიძინა უმთავრესათ ბამბის შესა-მუშავებელი ქარხნითა და რეინის გზის შტოთი, რომელიც მას კეთებოდა. ეს სამიადრე ჩინეთის გან:წით უნდა დაჩნეს

უფროს შეიქმნა, რომელიც თავისი სურვილისამებ-ლებს მას ოქსობის დანარჩენ წევრებს: ჯარის უფროსათ და-ნამსება გუან-სუ.

**წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა წლიური კრება.**

კვირას, 4 ნოემბერს, გაგრძელდება იყო წერა-კით-ხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრებისა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ი. ქავჭავაძე. ხალხი გაცილებით მეტი დაესწრო, ვიდრე წინა კრებაზე. ბანკის დარბა-ზი მთლათ გაქვდილი იყო. კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარემ თხოვა საზოგადოებას, ფეხზე აღდგომით პატივი ეცა განსვენებული რაფ. ერისთავისთვის, რაც კრებამ შეასრულა.

სანამ მიმდინარე წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას განიხილავდნენ, რამოდენიმე პირმა წინადადება შეიტანა, სარევიზიო კომისიის მოხსენება იმდენათ საყურადღებო კითხვებს ეხებოდა, რომ საჭიროა მას დაეუბრუნდეთ ისე-ყო. მაგრამ თავმჯდომარე იმ აზრისა იყო, რომ ანგა-რიშთან ერთათ სარევიზიო კომისიის მოხსენებაც დამ-ტკიცებულ იქმნა და ამიტომ ხელახლა მისი განხილვა აღარ შეიძლება. მცირეოდენი კამათის შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთაღრიცხვის განხილვას. გამგეობის ანგა-რიშით წელს საწევრო ფული უნდა შემოვიდეს 500 მა-ნეთი; ბ-ნ ვ. ბაჩაბელს ეს ფული ძალიან ეცოტავა და გამგეობას უსაყვედურა, — ის არავითარ ღონეს არა ხმა-რობს, რომ საწევრო ფული რაც შეიძლება მეტი შემო-დიოდესო. ბ-ნ მაჩაბელს დაეთანხმა ბ-ნი დეკანოზიშვი-ლი, რომელმაც აღნიშნა, ჩვენს გამგეობას კანცელიარუ-ლი ხასიათი აქვსო. დეკანოზიშვილმა უსაყვედურა გამ-გეობას აგრეთვე ისიც, რომ მან მაისისათვის დანიშნუ-ლი კრება ოქტომბრისათვის გადადო, რის ერთათ ერთ მიზეზათ ბ-ნმა მიქაბერიძემ შარაძის სტამბის დახურვა დაასახელა, თითქოს არ შეიძლებოდა ანგარიშის სხვა სტამბაში დაბეჭდვა. საზოგადოთ ბ-ნი მიქაბერიძე გამგე-ობის ვეჭილობას ცდილობდა. ბ-ნმა ილ. ქავჭავაძემ შე-ნიშნა: ხარჯთაღრიცხვაში მოხსენებული საწევრო ფუ-ლი, სულ რომ გვედინოს, მაშინაც კი შემოვა, ხოლო თუ მეტი შემოვიდა, ხომ არ გადაეყრითო. ამის პასუ-ხათ ბ-ნმა ხუდადოვმა დიდხანს ილაპარაკა. მანაც აღნი-შნა გამგეობის უენერგიობა საწევრო ფულის მოკრეფის საქმეში და გამოაცხადა: ქართველმა ხალხმა გამოიღვიძა, ის სწავლა-განათლებისაგან მიისწრაფის და ამიტომ გამ-გეობამაც ძილის მაგიერ ცნეზიულ მოქმედებას უნდა მოკიდოს ხელიო. ბევრი ილაპარაკა ბ-ნმა სტურუამაც იმის შესახებ, თუ რას უნდა აქცევდეს ყურადღებას გამ-გეობა. სტურუას სიტყვებში ის აზრი იყო გატარებუ-ლი, რომ ცხოვრების ასპარეზზე დღეს ხალხი გამოდის და გამგეობის ყურადღებაც აქვთ უნდა იყოს მიქცეული; თავისი მოქმედებით და ენერგიით გამგეობამ უნდა დაა-ნახოს ხალხს თვისი თავი და ხალხიც დაინახავს; მან უნდა დააკმაყოფილოს ხალხის გონებრივი მოთხოვნილე-ბანი, მიაწოდოს შესაფერი შინაარსის წიგნები, გახსნას სოფელში სკოლები; მაშინ ხალხი აშკარათ დაინახავს გამგეობის ნაყოფიერ მოქმედებას და თავის წვლილს აღარავინ აღარ დაიშურებსო. დაბოლოს კრება იმ აზრს



დაადგა, რომ საქაროა ყოველ კუთხეში ცალკე აგენტების ყოლა. აგენტები უნდა ცდილობდნენ ერთის მხრით საზოგადოების წევრთა გამრავლებას, მეორე მხრით საწევრო ფულის შეკრებას.

ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ბ-ნ სურგულაძის წინადადებებში იმის შესახებ, რომ საქაროა ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებელი იყოს მოწვეული და ხარჯთაღრიცხვაში სამოცი თუმანი მეტი შევიტანოთ ამ მასწავლებლისათვის. თავმჯდომარე არ ყოფილა ამ აზრის წინააღმდეგი, მაგრამ განხორციელება შეუძლებლათ მიაჩნდა უფულობისა გამო. ბ. ცხვეთაძემ გამოაცხადა, ამ საქმის მოწყობა ჩვენ მოკვანდეთ და თუ შეძლება გვექნება, მასწავლებელსაც მოვიწვევთ. მაგრამ ბ-ნმა ხუდადოვმა ბ-ნი ცხვეთაძის სიტყვებზე უკმაყოფილება გამოაცხადა: თუ საზოგადოებას არაფრის გადაწყვეტის ნება არა აქვს და ყველაფერი გამგეობას უნდა მივანდოთ, რაღაზე გვიწვევითო.

ბ-ნმა გოგებაშვილმა პედაგოგიური პრინციპის დარღვევით აღიარა ის გარემოება, რომ ბათუმის სკოლაში იმდენი მასწავლე მიუღიათ, რამდენსაც ორი მასწავლებელი ვერ გაწვდებოდა. ბ-ნმა გოგებაშვილმა საქაროთ დაინახა მესამე მასწავლებლის მოწვევა და თავის მხრით 200 მან. გამოიღო ამ საქმისათვის.

დიდი კამათის შემდეგ საზოგადოებამ დაადგინა, ამ კითხვის გადასაწყვეტათ ყუთი დაედგათ, და 77 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 41-ისა გადაწყდა, ახლავე მოწვეულ იქმნას ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებელი და ხარჯთაღრიცხვაშიც ჰქვანოთ იქმნას საქარო ფული. კენჭის ყრამდე არჩეულ იქმნენ საზოგადოების ახალი წევრები, რის შემდეგაც მოხდა არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა, გამგეობისა და სარევიზიო წევრებისა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ისევ ბ-ნი ი. ჭავჭავაძე (79 თეთრი და 39 შავი), გამგეობის წევრებათ: ბ-ნი ნ. ზ. ცხვეთაძე (78—40), ი. ს. გოგებაშვილი (86—32), ე. ს. თაყაიშვილი (75—43), დ. კარიჭაშვილი (79—39), ალ. სარაჯიშვილი (65—53), ივ. რატიშვილი (67—51), ი. ს. ლულაძე (71—47), ნ. ელიავა (66—52) და ივ. გომართელი (68—50); სარევიზიო კომისიის წევრებათ: ა. ს. ლულაძე (90—28), ნ. გოგტიძე (81—37) და ე. ა. სულხანიშვილი (79—39). დარჩა ასარჩევი გამგეობის სამი წევრი და სამი კანდიდატი. რადგანაც სხდომა საღამოს ექვს საათამდე გაგრძელდა, ამიტომ არჩევნების დაშთავრება გადაიდვა დღეის 11 საათისათვის.

### უ ა რ ა ლ ი.

(გაგრძელება.—იხ. № 44).

მალხაზა ეკუთვნოდა ერთს იმ გლეხთაგანს, რომლისათვისაც უპირველეს ცხოვრების მიზანს შეადგენდა ოჯახი და მისი ბედნიერება. დღეს ამ გვარ გლეხებს იშვიათათლა შევხვდებით ჩვენ ქიზიყის ოჯახებში. გლეხების ის თაობა, რომელიც აღზდილი იყო საერთო მიწის მფლობელობაზე და ოჯახის კომუნალურ წეს-წყობილებასზე, გადაგვარდა სოფლის ეკონომიური წყობილების შეცვლასთან ერთათ. მიუხედავათ ამისა სოფელში აქა-იქ კიდევ შეხვდებით ამ ძველი თაობის ნიმუშებს, ისინი ისევ ძველებური გულშემატკივრობით ეკიდებიან

სოფლის საერთო საქმეს, ისევ ისეთივე თავდადებით ემსახურებიან ოჯახს.

მალხაზი კარგახანია, რაც დაქვრივდა და თუმცა ის შეუახანს გადაცილებული არც-კი იყო, მაგრამ არ შეერთო მეორე ცოლი, რადგან კარგათ იცოდა რას ნიშნავდა დედინაცვალი სახლში და მეორე ცოლთან შეძენილი შვილები. მას ემინოდა ოჯახის არევისა. ამ ჟამათ მის ოჯახს შეადგენდა სამი ერთი მეორეზე მოყოლებული ვაჟიშვილი, ერთი გათხოვილი ქალი და ერთიც გაუთხოვარი. პირველი ორი ვაჟიშვილი გორა და შარმაზანი ცოლის სიკვდილის შემდეგ მალე დააქორწინა, რომ ოჯახში მუშა ხელი შემოეტანა. დარჩა „დაუბინავებელი“, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე, უმცროსი ვაჟი ილო და ქალი ნანა. აი ეს შეადგენდა ამ ჟამათ მალხაზისათვის საფიქრელს. ის გამოცდილის თვალთ ზომავდა იმ ოჯახებს, რომელთანაც-კი შეიძლებოდა მოყვრობა, და თითქმის გადაწყვეტილიცა ჰქონდა გულში ილოს საცოლოს არჩევანი, მაგრამ ჯერ მაინც ვერ გაემხილა. მან კარგათ იცოდა ილოს კერპი და თავის ნება ხასიათი, იცოდა ეკვით, რომ ილო შეიძლებოდა არ დათანხმებულიყო მის არჩევანზე, რადგანაც მას ხშირათ გაუკრავს თავის მამისათვის სიტყვა სულ სხვა ქალზე, რომელიც მალხაზს არ მოსდიოდა ჭკუაში. მაინცა და მაინც ის ელოდებოდა შვილებს, რომ შეკრებილიყვენ ერთათ ოჯახში და მაშინ გაემხილა მათთვის თვისი გადაწყვეტილება. ამ ჟამათაც, ცეცხლა პირას, ის ამ ფიქრში იყო გართული. მისი განიერი შუბლი შებანჯგლულ ტყავის ქუდის ქვეშ ხან იშლებოდა და ხან ეწყობოდა ზოლებათ განიერ საფეთქლებამდე. ზაღლებს ზოგს იქავე დედის კალთაში მიძინებოდა; ზოგნიც ბატკნებივით მიუწევილიყვენ ბინაზე გაშლილ ლოგინებზე. ცეცხლი ხან აკომლდებოდა და მაშინ მის გარშემო მჯდომნი კალთებით იშქნდავდნენ დაწითლებულ ცრემლიან თვალებს, ხან ამოაქნევდა აღს და გაანათებდა კომლისაგან შებურულ დარბაზს.

— ვახშამი მოიტათ, ჩილაპარაკა ხანგრძლივის სიჩუპის შემდეგ მალხაზამ და, თითქოს ფიქრიდან გამოერკვაო, შეიმშუმნა, დაიწია უკან და მოცალა წინ ადგილი, რომ ხონჩა დაედგათ.

ამ სიტყვის თქმისთანავე უფროსი რძალი კონია ფეხზე წამოდგა, წინდა, რომელსაც ის გამალებული ქსოვდა, იქავე გიდელაში ჩააგდო და გასწია ვარცლისაკენ. უმცროსმა რძალმა მოიტანა ლიტრა და იქავე ცეცხლი პირას მიწაზე მალხაზას ხელი გადააბანინა. მალე სამივენი ერთათ შეუდგნენ ვახშმის ჭამას. მათ სუფრას შეადგენდა რამდენიმე ხახვი და ნიორი გამხმარი პურით; თუმცა იქავე დედაბოძის უკან ბლომათ ეწყო ყველის გულები, მაგრამ ქიზიყელი კაცი იშვიათათ იმეტებს თავისთვის ამისთანა სასოვავს.

მალხაზი დღე დღეზე ელოდა შვილებს მინდვრებიდან. ყოველ მათგანს განსაკუთრებული საქმე ებარა, და ცალკე-ცალკე იყვენ გასულები სახლს გარეთ, ასე რომ ძმები იშვიათათ ხვდებოდნენ ერთმანეთს მინდორში-აც და სახლში შეიყვებოდნენ ერთათ ან რომელიმე დღესასწაულის დროს, ან სრულებით შემთხვევით. უფროსი ვაჟიშვილი გორა მეგუთნე იყო, შუათანას შერმაზანს ცხვარი ებარა და უმცროსს კი ძროხა. ისინი თავის საქ-

მის ანგარიშს აბარებდნენ ოჯახის შინა-კაცს თავის მამა მალხაზას. მართალია მალხაზაც გადაოდა მინდორში სამუშაოთ, მაგრამ ეს იშვიათათ, ის უფრო საოჯახო საქმეებს განაგებდა, დადიოდა სასოფლოზე, ისტუმრებდა »მტერსა და მოყვარეს«, როგორც ქიზიყში იტყვიან ხოლმე. რადგანაც ამ უამათ მალხაზას საოჯახო თაბირი უნდა მოეხდინა, ყოველი მათგანი დაიბარა სახლში და ელოდა მათ მოსვლას კვირას, ე. ი. სამი დღის შემდეგ.

ილო, რომელიც თვითონაც მოუთმენლათ ელოდა დანიშნვას მისგან ამორჩეულ საყვარელ ქალზედ, ამ ბოლო დროს როგორღაც შუბლ-შეკრული მოდიოდა ოთახში, ამით უნდოდა ეგრძობინებინა შინაურებისთვის თავისი განზრახვა. სოფელში ამისთანა გულის წყრომის მიზეზს უმკითხავოთაც კარგათ მოხედებინა ხოლმე, და არწივანთ უბნის ქალებს ხომ დიდი მითქმა-მოთქმა და ჩურჩული ჰქონდათ გამართული. ისინი დიდის ფარიფურით ემზადებოდნენ ნიშნობაში წასასვლელათ. ისე არ ჩამოივლიდა სოფელში მეწვრილმანე, რომ მათ ილოს ნიშნობისთვის არ შეეძინათ ან ქინძისთავი, ან ფერ-უმაჩილი და ყველა ამას კი ყიდულობდნენ დედ-მამის მალეით, მოპარულ კვერცხებზე ან გამომცხვარ პურებზე. მართალია, ისინი საერთო რჩევით და ერთმანეთის დახმარებით ყიდულობდნენ ყველა ამას, მაგრამ მაინც ენას ვერ აყენებდნენ და ყოველი მათი საიდუმლო უმაღლვე გამოცხადდებოდა ხოლმე სახლშიაც, რომლის შემდეგაც დაიწყებოდა დედების წყევლა-კრულვა გაიჭერა გოგოებისადმი და გოგოებისა კი — ერთმანეთის »ჩაქოლვა და ჩატიტვა« მოლაღატისა და გამცემისადმი.

მილარის მინდორს, რომელიც გაქიმულია ალაზანსა და ცივგომბორის მთებ შუა, ასე, ოცი ვერსის მანძილზე, ღამის სუდარა გადაფენოდა. დეკემბრის უკანასკნელი რიცხვები იყო. თოვლი ძალზე ბარდნიდა. ღამის სიწყვდიადეს არღვევდა ამ მინდორზე ძაღლის ყეფა შირაქის ყათრებიდან. <sup>1)</sup> აი ამ ყათრებში, რომლებიც თავს დაჰყურებდნენ შილარის მინდორს, გაშენებული იყო ძროხის ბინები. ბინები, ანუ ფარეხები, მიწაში იყო გამოთხრილი და არამც თუ ღამე, დღისითაც კი ვერ შეამჩნევდა კაცი ამ შენობებს, ვიდრე ზედ არ წააწყდებოდა. ერთი ამ ბინათაგანი ეკუთვნოდა მალხაზ არწივაშვილს. აქ ეყენა ილოს თავისი ძროხა. პირველი ვახშობა იქნებოდა, როდესაც მეძროხეები მორჩენ ძროხის დაბინავებას. ყველანი ერთათ იმავე ფარეხში წნელით ნახევრათ გადაყოფილ «სადგომში» მიუსხდნენ აკომლებულ ცეცხლს და როდესაც მოიბენ ახლა ვახშამზე ზრუნვას შეუდგნენ. მორიგე მეძროხე ნიკომ გადმოიღო მიწაში გამოთხრილ თაროდან დიდი სინი, მოათრია ხბოს ტყავის გუდა, წამოყარა იქიდან ფეტვის დაროშილი <sup>2)</sup> ფქვილი, გააკეთა ხოწზე პატარა კალო და აზილა ცივი წყლით ცომი. ეს იყო საძაღლე. როდესაც მან გაიტანა გარეთ ხოწი და ჩაუყარა ძაღლებს საჭმელი გეჯაში, ახლა თავიანთთვის შეუდგა ხმადის მომზადებას. დანარჩენი მეძროხეები ზოგი ქალამნებს იშრობდა და ზოგიც

<sup>1)</sup> ყათარი — ქეფსა და ქეფსა. შეაშუზღუდული ადგილები.  
<sup>2)</sup> მსხვილათ ცუდათ დაფქული.

ხართეზო წამოწოლილი უჩინჩხილებდა ცეცხლს. იყო, ნიკომ დაამრგვალა ცომი, გასწი-გამოსწია ცეცხლი რომ ჩაეგდო გაცხელებულ ნაცარში ხმადი, რომ ამ დროს ატყდა საშინელი ყეფა ძაღლებისა.

— ვინ იქნება ნეტავი მითხრა, წაილაპარაკა მხართეძოზე წამოწოლილმა ერთმა მეძროხემ და წამოიწია ზეზე წამოსადგომათ.

— გიო, ჰაი, გიო! მოისმა ამ დროს ხმა გარედან. მეძროხეი პასუხის მაგიერ დაელო ჯოხს ხელი და სწრაფათ გავიდა გარეთ.

— ვინა ხარ, ბიჭო! შეეხმაურა ის მოსულს და თან უჯავრდებოდა ძაღლებს.

— ვინა ვარ და მევარ! ე ოხერ ძაღლებს ველარ მოუველ, გაყარე განზე. მიუგო მოსულმა და გადმოეშვა ცხენიდან.

— ოჰ, შენა ხარ, ბასიკო, საით გივლია, რა ამბავია?

— საით და ჯანდაზას, ვერა ხედავ როგორა ბარდნის! წუხელ წამოსულმა კაცმა ძლივს შავ ხწიე აქამდე. ე ცხენი რო არა მყოლოდა, მე ვერც კი გამოვიგნებდი გზას.

— ჰო, ძალიან მოუჭირა ამ ოხერმა, რანავი ზამთარი, რანავი!

— ამაღამ აქ უნდა დაერჩე, ველარ გადავაწევ ჩვენ ბინამდე.

— დარჩები და დარჩი, ვითომ ერთი მეტი ძროხა შემეგდია ფარეხში, იხუმრა გიომ და ორივემ ერთათ ასწიეს ხურჯინს, რომელიც ცხენზე იყო გადაკადებული.

— ბიჭას, ტიკტორაცა გქონია! აი, შე პირძაღლო! წაილაპარაკა გიომ და გადაიგდო მხარზე ხურჯინი, რომ ფარეხში შეეტანა.

— მაქ, მაქ, მაშ! სულ შინ არა სვან, ერთი ჩვენცა ენახოთ და! მიუგო მასიკომ და თავის ცხენიანა შევიდა გიოსთან ერთათ ფარეხში.

— ბიჭოს, კაი ძღვენია! წამოიძახეს მეძროხეებმა, როდესაც დაინახეს გიო მხარზე ხურჯინ გადაკიდებული.

— პატარძლის დედას მოურთმეგია ფეხდაფეხ საკლავი, რუმით ღვინო, ურმით ნამცხვარი ააშენოოს! მიძახათ მასიკომ მეძროხეებს ხუმრობით, მსწრაფლათ გადმოხადა ცხენს საკმაზი და შეავლო ფარეხში საქონლის მხარეზე.

— დაჯე, დაჯე, თუ ღმერთი გწამს, ჯერ გათბი მე-რე დავლიოთ! უთხრა სიცილით გიომ და მიღვა კუნჭულში ხურჯინი.

— მოიცათ და ახლავე მწვადსაც მოგართმევთ! მიუგო მასიკომ, რომელსაც ხუმრობის სახელი ჰქონდა დევარდნილი სოფელში, და თან ფეხები მიატრიალ-მოატრიალა გამოშლილ ნაკვერცხლებზე.

მეძროხე, რომელიც ხმადს ამზადებდა, უფრო დაფაცურდა ამისთანა ძღვენის დანახვაზე, რო მალე მოეშორებინა საქმე თავიდან და სხვებთან ერთათ ჩაბმოდა ლაპარაკს. მასიკო სოფლიდან იყო მოსული და რასაკვირველია ბევრი ახალი რამ ეცოდინებოდა.

— რა ამბავია, ბიჭებო, რა ამბავი ჩვენ სოფელში და! ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, კაცებო! იმოტელა გოგოები დანიშნულან, იმოტელა, რო არვიცი მე და ილო ზემო კახეთში თუ ჩავალთ თორე ქიზიყში ხო ველარ ვიშოვით! ძირტკბილიანთ მაშო, კაქკაქანთ თეონა, ლოკოკანთ



ელისო, კიკანანთ ნინუცა... ჩამოაყოლა მასიკომ, რომელსაც ზეპირააჲ ჰქონდა დასწავლილი მთელი სოფლის დასანიშნი ქალების სახელები.

— შე, სამგლევე, ე მკითხაივით რომ ჩამოაყოლე, ერთს მაინც ვერ წამოიყუანდი აქა, გამოეხმაურა ცეცხლის მეორე ნაპირიდან მეძროხე ნიკო და თან ხმალი შეაბრუნა ნაცარში.

— გოგოს კი არა შენა მზემ ჩვენ ონოფრე მღვდელსაც კი აქ ჩამოიყუანდი, აი, ჯვარის დასაწერათ! მიუგო გიომ და თან ვადახედა ილოს, რომელიც მიწოლილიყო მართედობზე, და თუმცა მათს ლაპარაკს ყურს უგდებდა, მაგრამ მისი ფიქრი-კი სოფლის ხსენებაზე სულ სხვა საგანს დასტრიალებდა.

— ეი, შენ რატო აგრე ვაჩუქებულხარ შვილონა, რა ჩემგვებ ცხერი ჩამოგიშვია, ასე ეთქვათ ინიმებზე! რა დიდი გულითა ხარ, მოაბრუნდა მასიკოც ილოს, რადგანაც კოტა კიდევ სწყინდა, რომ მის ბინაში მოვიდა და მასპინძელი კი ასე გაჩუქებული იყო. ამათში მხოლოდ გიომ იცოდა ილოს სუამის მიზეზი, იცოდა, რომ ილოს უნდოდა ეკითხა რამე მასიკოსთვის მაგრამ ვერ გაებედა და ამიტომ თითონვე წაეშველა მეგობარს.

— მასიკო, დემეტრანთ შაშო ხო არ დანიშნულა, ჰა?

— შაშო?! პირი გამოირეცხე! რაო, ხო არ გებრანება? შენ ვინ მოგცემს შვილო იმას თავს, იმისი მამა კურსონიკებს დაეძებს!

ილომ თითქოს ვერც კი გაიგონა ეს სიტყვებიო, წამოიწია ზეზე, გასწორდა ცეცხლა პირას და მოიკეცა.

— ევ კი არა და, დაიწყო ისევ მასიკომ, ან ილიანთ გოგოებს ორი გოდარი ფერ-შუბრილი უყიდნიათ ილოს ნიშნობისათვის!

— უყიდნიათ და ვერ გავაჩუქებთ ნიშნობას?! შენ უყურე იქითა კვირას, როგორ გავიჩერო ე ტყავის ქუდი უპასუხა გიომ.

— ქამარი მაიშვი, ქამარი! წამოეკამათა მეორე მეძროხეც და ამოაგდო გამომცხვარი ხმალი ცეცხლიდან.

— დილაზე ადრე უნდა გავიდე, მაიტათ პური ექამოთ დაეიდინოთ, თქვა ილომ და მიწვდა წყლის ქურქელს, რომ ხელები დაებანა.

მორიგმა მეძროხემ მალე დაამტვრია ცხელ-ცხელი ხმალი ხონზე გასაციებლათ და დაუდგა წინ ამხანაგებს. მასიკოც გადაწვდა თავის ხურჯინს, ამოათრია ტიკორა, წამოიღო მუხლზე და დაუტყაპუნა ზედ ხელი, რომ ეცნობინებინა მეგობრებისათვის, თუ რას უბრძობდა ამ თხის გულას.

— ყანწი, ბიკო! დასძახა მან ბატონურის კილოთი გვერდზე მჯდომ ნიკოს, და მანაც გადააწოდა ტლანქათ გათლილი ძროხის რქა.

— ეს ღმერთმა აცოცხლოს, ვინც ჩვენ სოფელში ყველაზე ლამაზი გოგოა! დაილოცა ბასიკომ და გადაუსვა ღვინო.

— რაღა, ვინც ლამაზია, თქვი და გაათავე, აბა შაშოზე ლამაზი რომელია იქ? მიუგო გიომ და წაჰკრა ჩუმათ მუხლი გვერდზე მჯდომ ილოს.

— წავიდეს იმისი... შაშო რა... შაშოს მეტრ ალარაკინ არი არ მამცემენ და არც მინდა უპასუხა მასიკომ.

— რატომაც არ მოგცემენ შვილოსა, რომელი კინის ჩამოაგდობისა! ისიც გლახია შენც! მიუგო გიომ და ჩამოაბრუნა ყანწი.

— შენ ერთი ჩვენ დალაქ დაავალე და თუნდა ვაინამის ქნეინა იყოს შაგრთამს! ჩაერია ლაპარაკში ილოც, ნახა, შაშოზე ჩამოგარდა ლაპარაკი და უნდოდა, რომ ამისთანა სასიამოვნო საუბარი არ შეწყვეტილიყო.

— დალაქ კი არა და ფეფუნასთანა მაქანკალი ქვეყანაზე არ არი! ამ ხამთარ სწორეთ შეიდი გოგო დინება იმ კბილებდალმა. იგრე ატკლათუნებს სიტყვებს, იტყვი, ცხელი ფაფა უძვე ენაზეო. იხუმრა ისევ გიომ.

— ევ კარგი, მაგრამ ი ფეფუნას ქალი რო წინდა ვითხოვო, მაშინ ვილა მიმაქანკლებს! შეაკითხა ბასიკო თუმცა ხუმრობით, მაგრამ ნამდვილათ კი უნდოდა რამე ხელ-საყრელი პასუხი მიეღო.

— მე, მიუგო ილომ, აი ხვალე შენ მოვდივარ და თუ გინდა ხვალევე ვაჩუქებო სიტყვით.

— მართლა?  
— მართლა! მიუგო გადაწყვეტილ ილომ.

— შენ, ე ტიკორას დააქი ხელი, ფეფუნას ქალი კი არა თუ გინდა იმი რძლებიც სუ შენ შეგრაო, მიუგო გიომ მასიკოს, რომელიც კოტა არ იყოს ჩაფიქრდა ფეფუნას ქალის ხსენებაზე.

ამ სობაში ყანწი ხელიდან ხელში გადადიოდა და ამ სასიამოვნო ლაპარაკში მეძროხეები უფრო სასიამოვნო ბუნებაზე მოდიოდნენ.

— მაშ ეს ღმერთმა მიცოცხლოს ჩემი თალა! თქვა გაგულისებულმა მასიკომ და გადაუსვა ყანწი, რომელიც იმავე სადღეგრძელოთი ყველამ ჩამოირიგა. ღვინო, რასაკვირველია ყველას მოელო, და აქამდინ დაფარული ფიქრები ყველამ ნელნელა გამოამეღავენა.

— ეს კიდევ ღმერთმა აცოცხლოს ჩემი შაშო, თქვა აწითლებულმა ილომ და გაიწოდა განზე ხელი, რომ ემცნო მეგობრებისათვის, რა დიდ სადღეგრძელოსა სვამდა ის.

მასიკომა და ღვინამ გაკვირვებით შეხედეს ილოს, რადგანაც ის არა ხუმრობდა.

— რაო, რას გიკვირთ, ბიკი, ბიკი არ ვიქნები თუ ის მე ხელში არ მოვიგდე, თქვა ილომ და მეგობრების ამგვართ შეხედვაზე შუბლი შეიკრა.

— ბიკოს, შენ ადარა ხუმრობ აი! შეგეკითხა მასიკო და ვადახედა დანარჩენ ამხანაგებს.

— ხუმრობა კი არა, მე და ჩემმა ღმერთმა, ოჯახ დაეუქვევ დემეტრაშვილს, თუ თავისი ქალი არ მომათხოვა და უარი მითხრა!

ეს სიტყვები ისეთის გადაწყვეტილ წარმოთქვა ილომ, რომ მეძროხეებმა ვეღარც კი გაბედეს რამე წინააღმდეგის თქმა.

— აი, ხვალე იქ მივდივარ და ხმა ჩამოვივით, თუ მე ჩემი არ გავიტანო დაუმატა კოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კიდევ ილომ.

— შენ ფიქრი-ნუ გაქვს! მიუგო ვამაშხნევებელი კილოთი გიომ, რომელმაც დიდი ხანია იცოდა ილოს განზრახვა და რომელმაც შეფიცა კიდევ საქმეში დახმარება.

ამ სიტყვების შემდეგ ორივენი გაჩუმდნენ. მათ მოა-

გონდათ ერთმანეთთან განდობილი სიტყვა, სიტყვა, რომელიც მალე უნდა მოეყვანათ სისრულეში.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მიუგო მასიკომ და კიდევ გადაუსვა რამდენიმე ყანწი. ცოტა ხანს შემდეგ ტიკორამაც უკანასკნელი ოხვრა ამოუშვა და გამოემშვიდობა მეძროხეებს, რომელნიც აქა-იქ ქოხის კუთხეში მიწვევენ ჩაცმულები ნაბღების ქვეშ. რამდენიმე გამოხმაურების შემდეგ ყველას ძილი მოერია და მალე კარებში ძროხის ცოხნასთან ერთად მოისმა მეძროხეების ხვრინვაც.

ი. ევლოშვილი.

(შემდეგი იქნება)

\* \* \*

გული დაჰკოდა, ძმობილო, მაგ შენმა მწარე კენესამა, ღარებით სავსე ეგ შუბლი საგლოჯოთ შემომესალმა! ერთ ღროს მინახავს ეგ სახე, ზედ რომ ღიმილი კრთებოდა, რწმენა, იმედი მომავლის სხივ-ფერათ იხატებოდა; ცათ მირბიოდა გონება, გულიც ბანს ეუბნებოდა და აზვირთებულ გრძნობათა ზედ ოკეანე დგებოდა. მაგრამ აწ გაქრა ღრო იგი გრძნობათა ნაფარდობისა, ტკბილ-სანეტარო ღრო ყრმობას, ღიმილი, უღარდობისა!.. გაქრა და თან წარიტაცა ღხენა, სიამე გულისა, ხსოვნაღა დარჩა მხოლოთ-ღა წარსული გაზაფხულისა!.. და მოგადუნა, ბეჩავო, დაგაზრო ზამთრის ყინვამა, ზღვა-ხმელი შემოიბრინა მაგ მწარე გულის გმინვამა. ცხოვრების უკულმართობამ შენც ჩაგაფიქრა მძიმეთა და, ვაჰ, თუ ფიქრმა აწმყოზე ვერაფრით დაგაიმედა!.. შესმის, ძმობილო, ეგ ფიქრი, თან შემჩვევია მარად ის, — სული სულს იცნობს, გული გულს, ტანჯული ტანჯულს მარადის... მაშ, მო, საერთოთ ვიკენესოთ, რომ ხმა გაისმას ყველგანა, ვიკენესოთ... მარა ვინ ისმენს? — ჯერ კიდევ ყრუა ქვეყანა!..

დ. თომეშვილი.

წერილები თიანეთიდან.

(დასასრული. — იხ. № 45).

ქორწინების ჩვეულებათა შემდეგ საინტერესოა აქ ჩვეულება დედაკაცის მოლოგინებისა და ავრეთვე თვით-

რი რიგის დროს. დედაკაცებს აქ, ნამეტნავათ უფრო მეტად, მამაკაცები საზოგადოთ ძალიან დამცირებით უტყვრიან, თითქმის როგორც ყურმოქრილ მონას და გამგონეს მამაკაცებისას. ხოლო მშობიარობისა და თვიური რიგის დროს-კი მათ თვალში დედაკაცი კიდევ უფრო მდაბლდება და «მურდალი» ხდება. სანამ დედაკაცს რიგი აქვს, ის ფეხს ვერ შესდგამს ვერც თავის, ვერც სხვის სახლში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გააუწმინდურებს და გაამურდლებს ხალხს. რიგის გათავებამდე დედაკაცი ამ შემთხვევისათვის საგანგებოთ გაკეთებულ ქოხში ცხოვრობს. ამ ქოხში არც ერთ ოჯახის წევრს შესვლა არ შეუძლია. ამ ჩვეულებას ეძახიან დედაკაცის «წმინდობას». — მშობიარობის დროსაც ქალი სახლს უნდა განშორდეს, ცალკე ქოხი აიშენოს და იქ მოილოგინოს. ქართველებში შეიძლება, რომ მელოგინემ ბებისა და ოჯახის ერთ-ერთი წევრის დახმარებით მოილოგინოს, მხოლოთ ვერც ბებია და და ვერც ოჯახის ის ერთი წევრი, სანამ მღვდლისაგან არ გაინათლებიან, ველარ შევლენ სახლში თავიანთი „გამურდლების“ გამო. ფშაველებში-კი ქალმა თავის ქოხში სრულიათ მარტო-მარტო უნდა მოილოგინოს, არცინ მას არ დაეხმარება არაფერში, ბავშიც თავისი ხელით უნდა დაბალოს, გაბანოს და შეახვიოს, მჩერებიც თვითონ უნდა დარეცხოს და სხ. სასმელ-საქმელს მას მხოლოთ ქოხამდე მიუტანენ ხოლმე და იქიდან-კი თვითონ შეიტანს.

აქ, სხვათა შორის, ჩემი ყურადღება შემდეგმა გარემოებამ მიიპყრო. თუმცა ფშაველის ქალები, როგორც ვთქვი, ძალიან დამცირებული არიან ოჯახში და ამის გამო ისინი თითქო უნდა დალაჩრებულყვენ და უმამაკაცოთ კერასაც-კი ვერ უნდა მოშორებოდნენ, ამის მიუხედავათ ისინი დიდ გამქრახობას იჩენენ მგზავრობაში და თქვენ ხშირათ დაინახავთ ფშაველის ქალს, რომელიც მარტო-მარტო კი ვაჟკაცივით მიდის ცხენით ერთი სოფლიდან მეორეში კარგა შორს. საინტერესოა ისიც, რომ ცხენოსან დედაკაცს გადაუკიდნია ცხენზე ხურჯინი და შიგ ბავშვები ჩაუსვამს — ერთ თვალში ერთი ბავში, მეორეში — მეორე, და სიცილი მოგდის, როცა ხედავ ხურჯინიდან ამოყოფილ თავებს ბავშვებისას, რომლებიც არხეინათ გაიკვირებიან აქეთ-იქით ხშირათ პურის ღოღნით და ისე მიჩაქჩაქებენ ცხენით. ხშირათ კიდევ იმასაც დაინახავთ, რომ მამაკაცს ცხენზე უკან შემოუსვამს დედაკაცი (ხნიერი თუ ახალგაზდა, ეგ სულ ერთია), რომელსაც ხანდახან ხელში ბავში უტყვრია და ძუძუს აწოვებს. ზოგჯერ ორი დედაკაცი ერთათ შემჯდარა ცხენზე და სხ. ასეთი ცხენოსნობის ოდნავაც არა რცხვენიათ ფშაველებს და ხშირათ დაინახავთ ასეთ ცხენოსნებს შუა ბაზარში. იმერეთის ბაზარში რომ ასეთი სურათი დაინახონ, მეტათ განცვიფრდებიან, უშველებელ სიცილ-ხარხარს ასტვენ და კიდევ უკვივლებენ ასეთ ცხენოსნებს, აქ კი სრულიათ ჩვეულებრივი მოვლენაა და არავისაც არ უკვირს.

დასასრულ ფშაველების ზნე-ჩვეულებიდან საინტერესოა ისიც, რომ ისინი არასოდეს დასაწოლოთ და დასაძინებლათ ტანს არ გაიხდიან, მათ არც ღოგინი აქვთ, და პირდაპირ ტანისამოსიანათ მიწვეებიან, თავქვეშ რასმე ამოიდებენ, ზევიდან ქილობს გადაიფარებენ და ისე ჩაიძინებენ...



აქვე აღვნიშნავთ ხევისურების ახირებულ ჩვეულებას: ისინი როცა გზაში ერთმანეთს შეხვდებიან, პრაფრის გულისათვის ერთი მეორეს გამარჯობას არ ეტყვიან; ეს, მათი ფიქრით, სილამჩრეს, შშიშრობას ამტკიცებს. ამიტომ როცა ხევისური ხევისურს შეხვდება, ცხვირს მაღლა აიწევს, უღკაშებს გადაიწევს, დოინჯს შემოიყრის და ასე მედიდურათ გაივლის.

III

აქლო გავაცნობ მკითხველს თიანეთის მახრის ზოგ სარწმუნოებრივ ჩვეულებასაც. მაგრამ ჯერ მეტი არ იქნება, ორიოდ სიტყვა ეთქვა თვით სარწმუნოების მდგომარეობაზე ამ კუთხეში.

რამდენათაც აქაურ ხალხს მტკიცეთ დაუცავს ჩვენა ძველი ცხოვრების ფორმები და ზნე-ჩვეულებანი, იმდენათვე მტკიცეთ სარწმუნოებაც ძველებური შეურჩენია. ეს ხალხი დღესაც გაცილებით უფრო სასტიკათ, უფრო გულმოდგინეთ ასრულებს ყოველგვარ მოთხოვნილებას და წესებს ძველებური სარწმუნოებისას, ვინემ ახლისას, და ამის გამო აქ თითქო ერთნაირი ბრძოლა არსებობს „ძველსა“ და „ახალ“ სარწმუნოებათა შორის. ერთ მხარეზე თქვენ ხედავთ აქა-იქ სოფლებში ახალ მოზრდილ და ხატებით სავსე ეკლესიებს, ხოლო მეორე მხარეზე-კი თქვენ დაინახავთ თითქმის ყოველ ნაბიჯზე ძველ პაწია, თითო-ორიოლა ხატიან ეკლესიებს, ერთ მხარეზე თქვენ ხედავთ ახალ ეკლესიების მსახურ ანაფორიან და შემოსილ მღვდლებს ხოლო მეორე მხარეზე-კი — ძველი ეკლესიების მსახურ უბრალო ჩოხიან და შეუმოსელ „ხევის ბერებს“ (ანუ „დეკანოზებს“). მართალია, მღვდლები ძალიან ცდილობენ, რომ ხალხს თავიანთი ეკლესიები შეაყვარონ, მაგრამ ხალხი მაინც ერთობ ნაკლებათ ეტანება ახალ ეკლესიებს და წირვა-ლოცვის დროს ამ ეკლესიებში უმეტეს ნაწილათ ვერავის გარდა თვითონ „მღვდელ-დიაკვნისა“ ვერ დაინახავთ თუნდაც ეს ეკლესიები ხალხს ცხვირ წინ ჰქონდეს. მეორე მხრით მართალია, ხევის ბერები ოდნავაც არ ცდილობენ, რომ ხალხს ძველი ეკლესიების სიყვარული და პატივის ცემა ჩაუნერგონ, მაგრამ ხალხი მაინც ძლიერ ეტანება და განუხაზღვრელ პატივს ცემს ძველ ეკლესიებს, რომლებშიაც წასვლა მას თავის უწმიდეს მოვალეობათ მიიჩნია, თუნდაც ეს ეკლესიები მისგან ძალიან შორს იმყოფებოდეს. ეს მოვლენა, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ აქაური ხალხი საზოგადოთ ყველაფერ ძველს გაცილებით მეტ პატივსა ცემს, ვინემ ახალს; ამის გამო ახალ ხატებ-ეკლესიებსაც მისი რწმენით, არ აქვთ იმდენი ძალა და მადლი, რამდენიც ძველ ხატებ-ეკლესიებს. ამიტომ აქაური კაცი წელიწადში ერთხელ მაინც წავა „ხატში“ სალოცავათ და ამას ის სრულიათ კმარობს თავისი რელიგიოზური გრძნობის დასაკმაყოფილებლათ; ამით ის, თავისი აზრით, სავსებით ასრულებს თავის სამღვთო მოვალეობას და ამიტომ საჭიროთ აღარ მიიჩნია ახალ ეკლესიებშიაც იაროს. \*) ძველ ხატ-ეკლესიებისადმი ხალხის ასეთი დიდი პატივისცემა სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ აქაურ ხალხს სასტიკათ წამს მკითხავეები და მათი რჩევა შეურყეველ ქვემარტებათ მიიჩნია, მკითხავები-კი ხალხს მუდამ „ხატში“ სალოცავათ წასვლას ურჩევენ; ხოლო სახელგანთქმული ხატები აქ უმეტეს ნაწილათ ძველ ეკლესიებში ასვენია. დიდათ საყურადღებოა, რომ ფშავლებში ხატებს ერთნაირი ორგანიზაცია აქვთ. ეს ორგანიზაცია აი როგორია. ერთი ხატი (სახელდობრ თამარ დედოფალი) აქ უმთავრეს ხატათ ითვლება და წარმოადგენს უკულა თქუბას საზოგადო სალოცავს. დანარჩენ ხატებ შორის თვითოეული ეკუთვნის ერთ რომელსამე თემს და მათში ზოგი ხატი (მაგ. მთავარ ანგელოზი, იხსარი და გმირი კოპალა) \*\*) მთავარი ხატია ამა თუ იმ თემის, ხოლო ზოგი-კი მეორე ხარისხოვანი. თვითოეული ხატის მლოცველები იწოდებიან ამ ხატის «ყმებათ» და ერთ იმავე ხატის ყმები ერთმანეთის ნათესავებათ ითვლებიან, ასე რომ მათ არ შეუძლიათ ერთმანეთის შერთვა. ხატებს ემსახურებიან «ხევის ბერები» („დეკანოზები“), რომლებსაც ირჩევენ და აყენებს თვით ხალხი. ამას გარდა ზოგიერთ ხატებს აქვთ საკუთარი მახული, ენახი, და ასე წარმოიდგინეთ, საკუთარი საქონელიც-კი (პირუტყვი), ხან-კი ლუდის ან არყის სახდელიც. ამ ქონებას უვლიან და პატრონობენ ხევისურები.

ყოველ ხატს წელიწადში ერთხელ მაინც საკუთარი დღეობა მოუწევს (დიდ ხატებს სამჯერ ოთხჯერაც) და აი ამ დღეობას მიაწყდება ხოლმე ხალხი სალოცავათ სხვა და სხვა კუთხიდან, ზოგი თვისი სურვილით, ზოგიც მკითხავების რჩევით; ამ უკანასკნელ მლოცველთ თან მოყავთ ხატში დასაკლავათ ან ცხვარი, ან ძროხა, ან ხარი, ან რომელიმე სხვა პირუტყვი და აგრეთვე მოაქვთ შესაწირი ფულიც. დღეობას (ხატობას) განაგებენ ხევის ბერები. ეს ჩემი აზრით, ძველი-ძველ ქურუშთა ნაშთებია. მათ მოვალეობას შეადგენს: ხატის ვენახიდან ამ დღეობისათვის ღვინის მოტანა, რასაც უწოდებენ «კულუხს» და რომელსაც სვამს ხალხი; აგრეთვე შეწირულ საქონლის დაკვლა (რომელშიაც თვითონაც წილს იღებენ), ხალხის დალოცვა-დამწყალობება და სხ.. დღეობის გათავებისას სალამო-ხანს ხევის ბერი დარეკს ხარს, დაიჭერს ხელში ხატს ან ჯვარს, რომელზედაც ამთხვევს სათითაოთ ყველა მლოცველთ, და ლოცვა-კურთხევით ისტუმრებს ხალხს შინ. ხატობის დროს ხშირათ იციან ერთი ხატიდან მეორეში ერთათ წასვლა ხევის ბერის წინამძღოლობით, რომელსაც ხელში დროშა უჭირამს. ასეთია მოკლეთ აქაური ხატობა.

ფშავლების სარწმუნოებრივ ჩვეულებათა შორის საყურადღებოა კიდევ შემდეგი ჩვეულებანი: მსხვერპლის მიტანა, «ხატის ქალათ» შედგომა, ღორის ხორცის უქმელობა და ორშაბათობით მუშაობის აკვეთა. მსხვერპლის შეწირვა იმაში მდგომარეობს, რომ როცა ფშაველს ვაჟი დაებადება, ის ერთი-ორი წლის შემდეგ, ხან-კი უფრო ადრეც ან უფრო გვიან, ვაჟთან ერთათ წაიყ-

\*) სრულიათ წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ იმერეთში, სადაც ხალხი დღეს ახალ ეკლესიებს გაცილებით უფრო ეტანება, ვიდრე ძველებს; იმერელი ხალხი ყველაფერს ახალს უფრო ადვილათ ითვისებს, და ყველაფერს ძველს კი უფრო ადვილათ ტოვებს.

\*\*) კოპალა, როგორც გავიგე, ყოფილა უბრალო ბერი, რომელსაც ფშავლებში ქრისტიანობა გაუვრცელებია და რომელზედაც ლეგენდაა დარჩენილი, ვითომ მას მღვდლები დაეხოცოს, რის გამოც მისთვის „გმირი“ დაურქმევიათ.

ვანს ხატთან ჰქედლია ცხვარს, რომელსაც იქ ხევის ბერს დააკვლევინებს და რომლის ხორცი ამ უკანასკნელსაც უნდა გაუზიაროს. — «ხატის ქალათ» შედგომა იმას წარმოადგენს, რომ ქალი, რომელიც ავთოქოფობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო თავისთავს ხატის ქალათ გამოაცხადებს, აღ.რ გათხოვდება, ხოლო „წაწლობაზე“-კი შეუძლია ხელი არ აიღოს! — ღორის ხორცის ჭამას ფშავლებს ხატები უკრძალავენ და ამის გამო ფშავლების უმეტესი ნაწილი ღორის ხორცს არა ჭამს. რაც შეეხება ორშაბათობით მუშაობის აკვეთას, ეს ჩვეულება გავრცელებულია ფშავლებშიც და „ქართველებშიც“. ორშაბათობით მუშაობის აკვეთას ხალხი შეუთქვამს იმ მიზნით, რომ ყანები სეტყვამ არ გააფუქოს...

ასეთია თიანეთის მაზრაში სარწმუნოებრივი ჩვეულებანი. ბევრ ამ ჩვეულებათა მენებლობა ცხადზე უცხადესია, მაგრამ ხალხი-კი მაინც ორივე ხელით ჩასტიდებიან მათ და აგრე ადვილათ ვერ გამოგლეჯ ხელიდან. ზოგიერთ ამ ჩვეულებათა, მაგალ. ხატობის, მოსპობას აქ, ამა თუ იმ მოსაზრებით, ცდილა ზოგიერთი მღვდელი და ბევრჯერ თავგამოდებით ურჩევია ხალხისათვის მათზე ხელის აღება, მაგრამ მისი რჩევა ყოველთვის უნაყოფოთ დარჩენილა და რაკი ვერაუერს გამხდარა, ბოლოს და ბოლოს თვითონაც ხევის ბერებთან ერთათ მონაწილეობის მიღება დაუწყია ხატობის გადახდაში. აშკარაა, ამ ჩვეულებათ უფრო ღრმა გავლენა ქონიათ, ვინემ რომელიმე მღვდლის ქადაგებას... მათ მოსასპობათ სულ სხვა პირობებია საჭირო. ეს ჩვეულებანი აღმოცენებულია კრუ-მორწმუნეობის ნიადაგზე. ხოლო კრუ-მორწმუნეობის ბუდე-კი, როგორც მოგხსენებთ, გახლავთ ხალხის უმეცრება. დაშალეთ ეს უმეცრების ბუდე და მასთან ერთათ დაიშლება და ნიადაგი გამოეცლება ხსენებულ ჩვეულებათაც. უმეცრების მოსპობა, რასაკვირველია, სწავლა-განათლების გავრცელებით შეიძლება. თიანეთის მაზრაში-კი სწავლა-განათლება ძალიან ნაკლებათ არის გავრცელებული, აქ ძალიან იშვიათათ შეხვდებით სკოლებს. მთელ ამოდენა მაზრაში, როგორცაა თიანეთის მაზრა, რომელიც თავისი სიდიდით ბევრ სხვა მაზრებს აღემატება, როგორც გადმომცეს, სულ რაღაც რვაოდე სკოლა იქნება, და ისიც იმდენათ უხეირო, რომ ყველა ერთათ ორი ხეირიანი სკოლის ოდნობას ძლივს თუ გასწევს. ამას გარდა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს აქ თქვენ შეხვდებით მხოლოთ დ. თიანეთში და აქაც იგი ერთობ ნაკლებათ ასრულებს თავის დანიშნულებას; რადგან მითი თითქმის არაინ, გარდა თვით მისი გამგისა, არ სარგებლობს. — თქმა არ უნდა, რომ განათლების გავრცელებას აქ ნაკლებათ ცდილან „ზევიდანაც“; ამას გარდა, ამ მხრივ გაცილებით მეტი გავლენა ხალხზე მკითხავეებს აქვთ, ვინემ განათლების მზრუნველთ; მკითხავები-კი ხალხს ყოველთვის იმას ურჩევენ, შეიღებო შეკოლაში არ მიხაროთ; თორემ ხატი წყრებო; მაგრამ თავი და თავი მიზეზი, ჩემი ფიქრით, ის არის, რომ თვით აქაურ ხალხში, სიმართლევ რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ სუსტია სწავლა-განათლების მოთხოვნილება. ამ მოვლენის მიზეზი-კი ისაა, რომ აქაური ხალხი დღეს-დღეობით უსწავლელათა ცილათ მიდის, ცოდნა-მეცნიერების შეუთვისებლათაც ადვილათ ახერხებს ცხოვრებას, და ეს

იმიტომ, რომ აქ გამეფებული ნატურალური წარმოებულ თითქმის არავითარ სასკოლო და მეცნიერულ ცოდნას არ თხოულობს. მას, მაგალ., უბრალო არითმეტიკული ოთხი მოქმედების ცოდნაც-კი არაფრათ ესაჭიროება და აბა, იტალიანურს ან სხვანაირ ბუჭლანტერიას რაში დაგიღვეს, მამაპაპური ანგარიშითაც იოლათ მიდის! სწორეთ ასე აქაურ ხალხისათვის არავითარ საჭიროებას არ შეადგენს თანამედროვე რთული ტექნიკის ცოდნა, მას საკმაოთ აკმაყოფილებს მისი პრიმიტიული ტექნიკური საშუალებანი — სხვა და სხვა მამაპაპური იარაღები და სხ. და მით უმეტეს არ ეტანება აქაური ხალხი სწავლა-განათლებას, რომ არა თუ შინ დიდათ ვერაფრათ გამოიყენებს მას, არამედ ვერც სხვაგან ისარგებლებს მითი, რადგან უგზობობის გამო სხვაგან წასვლა მისთვის, როგორც ზვეით დავინახეთ, ძალიან გაძნელებულია...

სწავლა-განათლება აქ მას შემდეგ გადაეცევათ არსებით მოთხოვნილებათ, როცა ამ კარჩაკეტილ და მოწყვეტილ კუთხეს კარები გაეხსნება და თანამედროვე გაუმჯობესებულ სასიამოვნო საშუალებით — რკინის გზით და სხ. მკიდროთ გადაეხებება ჩვენი ქვეყნის დანარჩენ კუთხეებს. მხოლოთ ამის შემდეგ აქ თანდათან ბოლო მოეღება ნატურალურ წარმოებას, თანდათან გაეფლება კაპიტალისტურ წარმოების წესი და ეს-კი აუცილებლათ მოითხოვს სხვა და სხვა გვარი მეცნიერული და პრაქტიკული ცოდნის, ე. ი. სწავლა-განათლების გავრცელებას; აი სწორეთ ამის შემდეგ გამოეთხრება ძირი უმეცრების ბუდესაც, ნიადაგი გამოეცლება კრუ-მორწმუნეობასაც და თანდათან მოისპობა სხვა და სხვა გვარი მავნებელი ზნე-ჩვეულებანიც. ცხადა, მთელი თიანეთის მაზრა რომ საუცხოვო მქერმეტყველი მქადაგებლებით აივსოს და ამათ ყოველ წუთს უჩიჩინდნ აქაურ ხალხს: დიდათ საჭიროა თქვენთვის წარწმოების გაუმჯობესება და განათლების გავრცელებათ, ისინი იმის მეთელსაც ვერას გახდებიან, რასაც შეძლებს ერთათ-ერთი რკინის გზის გამოყვანა — ეს ძლივამოსილი ფაქტორი თანამედროვე პროგრესისა.

სვ. ჯ - ლი.

**ჰსინიურ და სოციალურ მოვლენათა თანდათანობაზე.**  
(წერილი მეორე იხ. № 45).

ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთათ ადამიანთ შრომის მიმართულებაზე და მათ სოციალურ წეს-წყობილებზე მოქმედობენ აგრეთვე ცხოველები და მცენარეულობა. იმ ადგილებზე, სადაც ტყე ხარობს, როგ. მაგ. ციმბირში და მანჯურიაში, მცხოვრებნი უმეტეს ნაწილათ ნადირობას ეწევიან; ვაკე და სწორი მხარე მიწის მუშაობას და ცხოველების გაშენებას აჩვენებს ხალხს. ამგვარათ, ადამიანის ცხოვრების ფორმა სხვათა შორის ვითარდება ფიზიკურ კანონების ზეკავლენით. თუ როგორი მოქმედება აქვს კაცის ბუნებაზე ასეთ ზეგავლენას, ვხედავთ იმ გარემოებიდან, რომ ვერობის ზომიერ ჰავაში აღზრდილი ჯარის კაცები თანდათან ესალმებიან წუთი სოფელს, როცა ისინი ცხელ ქვეყნებში იქმნენ გადასახლებულნი. კოლბის მიერ მოყვანილ სტატისტიკურ ცნობებიდან ჩანს, რა ცუდათ მოქმედობდა



ევროპელებზე კუნძულ ცკლონის ჰავა. 1000 კაცსა-  
ში წლის განმავლობაში აკლდებოდა:

- 1 წელიწადს 44 კ.
- 2 „ 48,7 „
- 3 „ 49,2 „

უფრო სასტიკათ სიკვდილი გვიანის კუნძულზე გა-  
დმოსახლებულთ ავლებდა მუსრს. მაგ. 11 წლის განმავ-  
ლობაში სიკვდილი შემდეგი ძალით მუსრავდა ჯარისკა-  
ცებს:

1000 კაციდან კვდებოდა:

1 წელ.	77 კაცი	7 წ.	— 83 კაცი
2 „	87 „	8 „	73 „
3 „	89 „	9 „	120 „
4 „	63 „	10 „	109 „
5 „	61 „	11 „	140 <sup>1)</sup>
6 „	79 „		

აღნიშნული სტატისტიკა გვიჩვენებს, თუ რა თანდა-  
თანობით შეთვისებას თხოულობს ბუნება ადამიანისა-  
გან და როგორ ისჯება უკანასკნელი, როცა ის ამ კა-  
ნონს გაუბრუნდება.

მაგრამ როგორც ზევით ვთქვით, ისტორიული ცხო-  
ვრება არ ისაზღვრება მხოლოდ ობიექტიური ბუნების  
ზეგავლენით. მას შემდეგ, რაც ადამიანმა დატოვა ცხო-  
ველური მდგომარეობა და შრომის განაწილებით მას თან-  
დათან განუვითარდა საზოგადოებრივი თვით-ცნობიერება,  
ბუნების კანონებთან ერთად ძალაში შევიდნენ ეკონომი-  
ური ფაქტორები, რომლებმაც შეამუშავეს შტაკიცე სო-  
ციალური წეს-წყობილება და საზოგადოების კეთილდღე-  
ობა მკიდრით დაუკავშირეს მატერიალური მხარის განვი-  
თარებას.

ერთმანეთს შორის ფიზიკური კანონების ზედ-მოქმედება,  
მეორე მხრით ეკონომიური მდგომარეობის თვისებები —  
აი ის პირობები, რომელნიც ჰქმნიან სოციალურ ცხოვ-  
რებას და იმის მიხედვით, თუ როგორ შეეწყობა ესა თუ  
ის საზოგადოება აღნიშნულ პირობებს, წინ მიდის კულ-  
ტურა, ვითარდება მოქალაქობრივი ურთიერთობა.

როდესაც შეთვისების პროცესი უერთდება უმაღ-  
ლეს წერტილამდინ ასულ დანაწილებას, მაშინ ფებს  
იკიდებს განვითარების მესამე კანონი: მოვლენის გაუმ-  
ჯობესობა, საზოგადოებას ფორმები იცვლებიან გარემო-  
ცულ კანონების თანახმად, თანაც მისი მხარეები ნაწილ-  
დებიან და თანდათან გამოდიან პირველ ერთგვარ მდგო-  
მარეობიდან, ამ დროს ნიადაგი უმზადდება იქ ახალ ელფ-  
მენტს, რომელიც წარმოადგენს უკეთეს თვისებებით აღ-  
ქურვილ პროცესს. ასეთია ევოლუციონიზმის თვისება.

I. ახლა საკითხავია: ამყარებს თუ არა ევოლუცი-  
ონური პროცესი მოვლენათა შორის ისეთ დამოკიდე-  
ბულებას, როგორც არსებობს მიზეზს და შედეგ შორის,  
ესე იგი, მათემატიკური ენით რომ ვთქვათ, როდენო-  
ბა ერთი მოვლენის პირობებისა, როცა ის მეორეს იწვევს,  
თანასწორება თუ არა უკანასკნელი მოვლენის რაოდე-  
ნობას? ამ მხრით ზოგიერთმა მეცნიერებმა ეჭვის თვა-  
ლით შეხედა ევოლუციონურ განვითარებას და კიდე-  
ვაც უარჰყო ის უმთავრესი მისი თვისება, რომელიც  
იხატება მოვლენათა ერთმანეთ შორის კაუზალურ კავ-  
შირში. მაგ. შტეინტალის შეხედულებით, „ევოლუცი-

ონურ კანონებს არც კი დაუშინებურნიათ კანონების სა-  
ხელი. ისინი აღნიშნავენ მხოლოდ თანასწორ, განმეო-  
რებით მიმდინარეობას და კავშირს ორი ისტორიისას, მაგ.  
იმას, რომ პოეზია წინ უსწრებდა პროზას, რომ ის იწ-  
ყება ლირიკით, ან ეპიკით. მაგრამ, რაზედ არის დაფუძ-  
ნებული ეს მიმდინარეობა და კავშირი, ნახსენები კანო-  
ნები არაფერს არ გვეუბნებიან. ისინი, განაგრძობს ის,  
წარმოადგენენ მხოლოდ შეერთების რთულ ერთი მეო-  
რესთან ჩაქსოვილ პროცესებს, რომელიც ბოლოს იძ-  
ლევა მხოლოდ უბრალო დამოკიდებულებას ორ ფაქ-  
ტორთა შორის“ <sup>2)</sup>. მაგრამ ევოლუცია სრულიად არ  
სპობს მოვლენათა შორის ისეთ დამოკიდებულებას, რო-  
გორც არსებობს მიზეზსა და შედეგს შორის, პირ-აქეთ  
მისი განვითარება ასეთ კანონზე დაფუძნებული. კარევის  
სიტყვით, ქვეყანაზე არაფერია ისეთი, არც ხდება რაი-  
მე ცვლილება, რომლის შესახებ არ ვქონდეს უფლება  
ვიკითხოთ «რატომ?» წარმოვიდგინოთ, რომ ორი მოვ-  
ლენა დაკავშირებულია ერთმანეთ შორის ევოლიუციო-  
ნური პროცესით. ერთმა მოვლენამ, ვთქვათ A-მ, ნია-  
დაგი მოუმზადა მეორე მოვლენის B-ს ჩასახვას და განვი-  
თარებას. ეს გარემოება სრულიად არ უარჰყოფს იმ აზრს,  
რომ ასეთ განსაზღვრულ კავშირს არ ჰქონდეს თავისი  
გამომწვეველი მიზეზები. მართლაც, გაჩნდა A, მაშ, იყ-  
ვენ პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს მისი არსებობა.  
იყვენ იმის პირობებიც, რომ მოვლენა A გარდაქმნი-  
ლიყო მოვლენათ B. თუ მეორე მოვლენა B ხანგრძლი-  
ვით იცვლის თავის ფორმას, იმ შემთხვევაშიც უნდა არ-  
სებობდნენ რაიმე მიზეზები, რომლებიც აყენებენ მას ასეთ  
მდგომარეობაში. ერთი სიტყვით, იმისთვის, რომ გაჩნდეს  
რაიმე მოვლენა, და იმისთვისაც, რომ დაამთავროს მან  
განვითარება, საჭიროა განსაზღვრული პირობები. B,  
როგორც ვთქვით, ვითარდება A-გან და ნიადაგს უმ-  
ზადებს მესამე მოვლენას C-ს. A რატომ იცვლება  
B-თ და არა სხვა მოვლენათ, და B კი გადადის მხო-  
ლოდ C-თ და არა სხვა რომელიმე პროცესში? რასა-  
კვირველია ამ სამ მოვლენათა ასეთი კავშირი შედეგია  
აუცილებელი მიზეზების. მაგ. სარწმუნოებრივი ინდი-  
ფერენტისმი გუმანისტების და სხოლასტიკებისა, რომე-  
ლიც ლიუტერის ქადაგების შედეგი იყო, რაინდების ამ-  
ბოხება 1523 წლიდან, გლეხების ჩხუბი 1525 წ. აი  
სამი მოძრაობა, რომელთაგან თვითოულს აქვს თავისი  
განსაკუთრებული მიზეზი და ამასთანავე წარ-  
მოადგენს კერძო მომენტებს იმ კრიზისისას, რომ-  
მელსაც მაშინ გერმანიის სახელმწიფო იტენდა <sup>3)</sup>.  
ასე შეგვიძლია ჩვენ გავითვალისწინოთ სოციალური ცხო-  
ვრების ყოველ გვარი მხარეები, ესე იგი, შეგვიძლია თვი-  
თოულ საზოგადოებრივ ფორმას შევხედოთ როგორც შე-  
დეგს რომელიმე მიზეზისას, თუმცაღა ამ ფორმას ვუმო-  
რჩილებდეთ ევოლუციონურ განვითარებას.

II. ისტორია ორგანიული ბუნების განვითარებისა  
წარმოვიდგინა ბუნების მეტყველმა დარეინმა. ღრმა მოსაზ-  
რება ამ მეცნიერის უმეტეს ნაწილათ იმაში გამოიხატა,  
რომ მან აღმოაჩინა ძალა, რომელიც იწვევს ორგანიზმთა  
შორის დიფერენციალურ, შეწყობის და გაუმჯობესო-

<sup>1)</sup> Кольч «Исторія человеческой культуры». т. I.

<sup>2)</sup> Idem. стр. 15.

<sup>3)</sup> Дарвинъ: «Происхождение видовъ» т. I.

ბის პროცესებს. ასეთ ძალათ დარვინმა აღიარა ორგანიზმთა შორის გამეფებული «ბრძოლა არსებობისათვის». ინსტინქტი თავის დაცვისა იწვევს ორგანიზმს არსებობაში შორის სასტიკ ომს, რომელიც მით უფრო ძლიერდება, რამდენადაც მრავალდობიან ორგანიზმები. თავის შენახვა და გამრავლება—ეს ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ფიზიოლოგიური ძალა იწვევენ ორგანიზმს ბუნებაში სასტიკ კონკურენციას. „ამ ბრძოლის მეოხებით, ამბობს დარვინი, რაც უნდა შეუმჩნეველი ცვლილება იყოს და რა გვარ მიზეზიდანაც უნდა იყოს ის დამოკიდებული, თუ ის (ცვლილება) სასარგებლოა რომელიმე არსებების დაცვისათვის მათ დაუბოლოვებელ რთულ დამოკიდებულებაში სხვა არსებებთან და ცხოვრების ფიზიკურ პირობებთან, ხელს შეუწყობს ამ ორგანიზმების დაცვას და გადაევა უახლოეს შთამომავლობაზე“<sup>4)</sup>.

III. ბუნებრივ განვითარების თეორიაში ადამიანის წარმოშობა შეკავშირებულია მთელი ორგანიზმი კვეყნის განვითარებასთან, ადამიანი ცხოველია იმდენათ, რამდენათაც კითხვა ეხება მისი ორგანიზმის თვისებებს. მაგრამ ხალხთა სოციალური ცხოვრება იმდენათ წასწია წინ, რომ მათ და ცხოველების საზოგადოებრივ წეს-წყობილებათა შორის თითქმის აღარაფერია საერთო. მაშინ, როდესაც ცხოველები იბრძვიან ორგანიზმი საშუალებით და ორგანიზმი მიზნით, ადამიანებმა შექმნეს ტენიკური იარაღები და ეკონომიური სიმდიდრე, რომლებსაც კერძო პირები განაგებენ. ასე ორგანიზმი ცხოველების შემკვიდრება, ხოლო ადამიანთა შორის უკანასკნელმა მოიპოვა იურიდიულათ დადგენილობის უფლება, რაც იხატება შრომის, იარაღის და კაპიტალის ერთი მეორეზე გარდაცემაში. გარდა ამისა, თვით „ბრძოლა არსებობისათვის“ ცხოველებში გამოწვეულია ორგანიზმ წარმოებით და წარმოშობით. ხალხთა საზოგადოებაში კი იბადება ინდუსტრიული კონკურენცია, ბრძოლა მოგებისათვის, რა ფაქტსაც ცოტა საერთო აქვს დარვინის «ბუნებრივ შერჩევასთან»<sup>5)</sup>. ამიტომაც დარვინის ბიოლოგიური პრინციპები იმ სახით, რა სახითაც ეს მეცნიერი ხსნიდა მცენარეთა და ცხოველების განვითარებას, ჰყარავენ თავის მნიშვნელობას ხალხთა სოციალური ცხოვრების განმარტებაში. მაშ არის ისეთი ფაქტორი, რომელიც განაგებს ადამიანთა ისტორიას და რომელიც უყურადღებოთ დატოვებს დარვინმა და მისმა მიმდევრებმა. ეს ფაქტორი გაითვალისწინეს მარქსმა და ენგელსმა, რომლების მოძღვრება საფუძვლათ დაედვა თანამედროვე «ისტორიულ მატერიალიზმს».

Tusci.

(შემდეგი იქნება)

პასუხათ ბ. 40-ძმს.

(წერილი რუდაქციის მიმართ)

უოკლეჯან რეფორმა, უოკლეჯან გაცხარებული სკაბასია, უოკლეჯან შეამდგომლობა ადმრული, ამა თუ იმ დაწესებულების მოხელეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ხოლო სოფლის მასწავლებელთა შესახებ კი მხოლოდ

4) Корфевъ: «Сущность историч. процесса роизъ личности въ исторіи», т. III. 1890.

5) Вольтманъ „Теорія Дарвина и социализмъ“ 1900 г.

კანტი-გენტიო, აქ-იქ თუ იყო ნათქვამი, თორემ მეტი არაფერი. არაგის ფაქტათ არ მოსვლია სოფლის მასწავლებელთა შესახებ ხმის ამაღლება; არაგის არ აინტერესებს, შეაღოს სოფლის სკოლის კარები და გაიგოს, თუ რა სდება აქ. უკლეჯან უწინ, ეჭვი არ არის, თვით სოფლის მასწავლებლებს უნდა აღამდლონ ხმა თავის გაჭირებულ მდგომარეობაზე, მაგრამ სოფლის მასწავლებლებს ამაზე კონტრის არ დაუბრალოთ უკლ. საკვირველი ის არის, რომ ეს ცოტათ თუ ბევრათ ინტელიგენტი ხალხი კრისიულად არ ჩაკვირება თავის გაჭირებულ მდგომარეობას, ერთხელაც არ მიუღია ანგარიში თავის თავისთვის, თუ რამდენათ სელს უშლის მას სამასწავლებლო საქმეში სიღატაკე კეთანსებათ. ბ. 40-ძეს, მაშინ როცა ის თავის წერილს ამგვარ შესდგებას უდებს საჩუქრად. მხოლოდ არ შეკვირდა დაკეთანსებით იმაში, რომ ვითომც ხალხისა და მასწავლებელთა შორის სუფეკდეს ანტაგონიზმი, რომლის უმთავრეს მიზეზათ ის ასახელებს ბანქოს, ნარდს, ლოთობას და რვეუ-იამაშს. ჩვენის აზრით ხალხისა და მასწავლებელთა შორის არაერთი განსეთქლება არ არსებობს; ეს მიგვაჩინა თავიდან ბოლომდე ცილის წამებათ. იქნება ბ. 40-ძეს ის გონია ანუ ანგარიში, რომ ვინმე ორისაში „კლანდინია“ თავის ზარდ ინტერესებისთვის ამხდრდება რომელიმე მასწავლებლის წინააღმდეგ? ან შეიძლება ის მაინც ანტაგონიზმით, რომ დღეს ხალხი ისე არ ესწავლებს მასწავლებლებს, როგორც წინათ? უწინ წერა-კითხვის მცოდნე სახითათ საქმეში იყო. მას თავისის ცემდენ, უკლეჯან ჰატეით ეზურბობდა და მასში სედაკდენ ერთათ-ერთ სხნას. რადგან ფუთ ხალხს წერა-კითხვის არა გაგებობდა რა; მის ბედს შენტროდა უკლეჯან და უკლეჯან სედილობდა, შეაღასთვის წერა-კითხვა ესწავლებათ. დღეს კი წერა-კითხვა თვით ხალხმა იცის, წერა-კითხვის მცოდნე თვით გახდა. მასწავლებელი სჭირია მას მხოლოდ შეაღებას აღსახადელათ, რისთვისაც აქვს სკოლა, სადაც გზაჩნის თავის შეილს, თვითონ კი ცხოვრების ჭაბანს ექვე. ხალხს არც დრო და არც საჭიროება აქვს ისეთი, რომ ის წამდა უწემ სკოლაში და მასწავლებელთან ფესიფესებდეს. თუ ხალხში მასწავლებლის ავტორიტეტი დაეკ, ეს კარტის და ნარდის ბრალი კი არ არის, — არამედ იმისა, რომ ხალხმა შესდგელება გამოიკვალა. დღეს ვინც კარგათ ცხოვრობს, ვინც მატერიალურათ კარგ ჰპრობებაში ტრიალებს, ხალხის შესდგელების სასწორიც იმისკენ არის გადასრლი, მასში სედაკდეს ის ჭკუას, ცოდნას და ცხოვრებაში გამოცდილ მეომარს. ასეთი შესდგელების შემდგ რადა განსაკვირვებია, რომ ნახკარკურ მშეორი, ნახკარკურ ტიტეკელი მასწავლებელი ხალხმა დაბლს დაეყენეს, ვიდრე რომელიმე მდიდარი ჩარხი, კაჭარი და ეზოლეტებში გამოჭიმული ჩინოვნიკი. დაკარწმენეთ ბ. 40-ძეს, რომ დღეს ვინც უნდა გონებრივად და ზნეობრივათ საკმაოთ განვითარებული ადამიანი მოხედეს სოფლის მასწავლებლათ, ის ვერ ისარგებლებს ისეთი გავლენით და ჰატეის-ცემით, როგორათაც უწინ უბრლო წერა-კითხვის მცოდნე სარკებლობდა. ბ. 40-ძეს უკვირს, ვიღაცამ ფული შესჭამა. თუ კი დაკით წინასწარმეტეკელმა, სიმშაღის გზით, სამკეთო ჰერი შესჭამა, საწყალ მასწავლებლს რა უნდა ექმნას? ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ ეს უმნიშვნელო ფაქტი იყოს და საზოგადო ფულს შეჭმა უნდოდეს, ხოლო ის გვინდა ვთქვათ, რომ ეს არის მიზეზი იმ ჰპრობების, რომლებშიდაც დღეს სოფლის მასწავლებელი მოქმედობს. სამწუხარო ის არის, რომ როცა ვინმე კამათობს მასწავლებლის შესახებ, ის ძირითად კითხვას



გა ანაქტის შექმნისას; ანაქტის შექმნისას; უკლებლად უმნიშვნელო ფაქტებით ასაბუთებს თავის განაჩენს.

როგორც ვამბობთ, საფხვი ჩამოშორებულად სყოფას. ჩვენ ხალხს სკოლას ჩამოშორებულად, მასწავლებლის შრომა ოთხ-კვილეს შავით მისთვის უნდა იყოს. ამის გამო მასწავლებლის შრომა ბევრს მანისა რადც შეზღუდვით, უმნიშვნელო და უბრალო შრომათა, რადგანაც აკადემიკოს ბავშვს მასწავლის სკოლაში უნდა იმუშავებდეს; რამდენადაც და მასწავლებელს ის მასი მისწავლის; სინდონს; მასი გასწავლებლად წინადაწინვე დაწინაურდეს ოპორტუნობის ცოდნა-გამოცდებითა. ბავშვის აღზრდაც ბევრე ოპორტუნობა; მისთვის ნული; უტოვებ; ოპორტუნობის სკოლაზე გა ანა— სკოლაზე; ამიტომ მისთვის საჭირო მისწავლებელს დამოუკიდებელია გამოცდილ ოპორტუნობის მასწავლებელს; მაგრამ როგორ შეუძლებოა ეს მისთვის ნულია; მასწავლებლის მშობარ გულის? ან აქ უკლებლად უნდა იყოს. ან აქ ანის დამარხული ძაღლის თავი. ან აქ ანის საჭირო მისწავლის უნდა იყოს. ან აქ ანის მასწავლებლის სინდონს. ან აქ ანის მისწავლებლად ბ. 40-მე შეცდომით თვლის და უკლებლად უნდა იყოს. ერთი კვირით ბ. 40-მეს, რადგან მისთვის ამ საკითხს უნდა იყოს. ბიოთ ის (ბიოთ) სინდონს სინდონს სხვა-და-სხვა იუმორისტულ დატონს; ან აქ ამ მასწავლებლის კომპონენტებიდან ერთობილ მასწავლებლის ცოდნაზე სკოლაში აქ მისთვის სკოლა-გამოცდის უნდა იყოს. ბ. 40-მეს გულის შექმნის და ერთი მასწავლებელიც ვი ვი უნდა იყოს; რამდენადაც ხელის ჩამოშორების დიდი იყოს; მასწავლის (სკოლა უტოვებ რადგან დაინდობდა ეს უნდა იყოს ჩამოშორების). 40-მეს ოთხმოც თვალში და ოთხმოც უნდა იყოს. ან აქ ანის უნდა იყოს; უკლებლად დაინდობდა; რამდენადაც სკოლის ანა-ხანის კვირე სკოლაში სკოლის მასწავლებელი უნდა იყოს. ვინე ვინე 40-მე-80-მეები. ბ. 40-მეს რამდენიმე ცრუ „სკოლაში“ შექმნის მისთვის შეცდომის და აქედან ის დასკვნა გამოიყვანა; რომ გულისაში ერთი მასწავლებელიც ან მისთვის; რომ ის ბიოთის ცოდნის დიდი იყოს. ერთი კვირით ბ. 40-მეს; ვინ მართავს სასოფლო ბანკებს თუ ანა სოფლის მასწავლებლები; ვინ განაგებს სასაბუნებისოებს, თუ ანა სოფლის მასწავლებლები; ვინ მართავს სხვა-და-სხვა სკოლაში მასწავლებლებს თუ ანა სოფლის მასწავლებლები? აქნებ გგონიათ, თქვენთანა 40-მე—80-მეები? თუ იმდენი სოფლის მასწავლებლებს ასეთ ცრუ ბიოთებში უნდა იყოს მოქმედება, მაგრამ ამისე მეტ საკუთრებას მანის ცოდნის საზოგადოებას, გადამე თქვენთანა მანალი ფაქტობრივ.

მასწავ. გრ. ურატაძე.

**კახის მხარეთაშორეთა ამხანაგობა.**

კარგი არაფერი ვიცით ამ ამხანაგობის წარმოებაზე, ვიცით მხოლოდ, რომ ესეც ისე, როგორც გურიის მხარეთაშორეთა ამხანაგობა, დიდ ზარალშია ჩავარდნილი. „ვინ მისაველია“, თურმე ამბობს ზოგიერთი თავხელი, „ვაჭრობაში წაგება-მოგება ძველია“, თურმე ერთმანეთს ანუკვებენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ წინეთაც, როცა საქმე ვითომ კარგათ მიდიოდა, არა ერთხელ ამოგვიღია ხმა და ყოველთვის ამხანაგობის მმართველების წინააღმდეგ, რადგანაც მოველოდით იმას, რაც დღეს ამხანაგობას დღე დაუგა. ამის თვალან ასაცილებლათ ვწერდით და ხალხშიაც ვლანარაკობდით, რომ მმართველობა

შემდგარიყო საქმის მიტოვებაც კაცებისაგან, რომელიც პასუხის მგებელი უნდა ყოფილიყო ხალხის წინაშე; რომ ერთ ქმნე ისე არ ემოქმედებდა საქმეებში; როგორათაც მისი სურვილები უჩვენებდენ, არამედ ემოქმედებდა ყველა მართებლობის წვერთ ერთათ, შეთანხმებულათ; ასეთნაირათ ნაწარმოები საქმე ცხადია უფრო ბევრ განსაცდელს ამოშორებდა თავიდან და სიცილილის ნაცვლათ გაიზრდებოდა; იცოცხლებდა. ახლა კი სხვა სურათს ვხედავთ, ვხედავთ სურათს ამხანაგობისას კინიანობით ფერმინდის, მამაკაცებს: მარჯამ საოცარი ის არაა; რომ ერთის ერთს უშორჩილებდა ისეთებიც, ვინც თავის თავზე ფაქრობს, ამ საქმეში ცოდნა მატყო. მაგალითათ აღვთ ჩვენ „ყოველით წინაშე“ სარევიზიო კომისია: ორი ექვთი ერთობილ ხალხის მკურნალი; ორი მოქმედი ერთობილ ხალხის უნდა ბრივი მამები და ერთი ერისაგანაც. ამხანაგობის საქმეები გამოქრდა და გამოქონდა მხოლოდ ერთ კაცს; მმართველს უნდა და აწარმოებდა; უნდა იყოს; უნდა იყოს გონს შესწირავდა ამხანაგობის აქციაში უნდა იყოს სურვილს; ამის მოდავე ვერ გამოჩნდებოდა. ან ან საზომით ამხანაგობის მართებლობამ უნდა იყოს ამხანაგობის საქმეები? პარკის ყიდვის დროს მეპარკებს პარკის ღირებულების მხოლოდ 2/3 მიკეს, მაგალითათ 15 მანეთში მიკეს; 10 მანეთში; 5 მან. კი ამხანაგობაზე ვალათ იყოს იქნამდე, სანამდე პარკი გაიქრებოდა; პარკი მარტოში ვაიქრდა; მაგრამ ზარალით. ზარალი ამხანაგობას 6000 მანეთი აქცია; გაიგონებთ; და ამას დაიჯერებთ თუ საქმის გარემოება არ იცოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამხანაგობაზე ითვლებოდა ვალათ ხალხის ფული თუ მცტი არა 24 ათასი მანეთი მიკეს; არ ამას ვარდა იზარალა ის რაც ხევით ვთქვით; მასხადამე, ამხანაგობას 50.500 მან. უზარალია; იმისთვის რომ ის თავის დროზე არ ეცადა და არ მარყო საქმეზე; ეიც იგი არ შეაღწინა ფართილი; ვაჭრობის და პასუხის მკებელი კაცებისაგან გამგეობა. ცხადია ჩვენებურმა დაუფლებლობამ ერთი მხრით და მეორე პირადმე კინიანობამ ნაყოფი გამოიღეს და ნაყოფი მეტათ მშარე; მეტათ მშარე ხალხისათვის. ან აქ მისხელ სკენას დიდი ხანია შესკერის ნახენები „ყოველით წინაშე“ კომისია; მაგრამ იმისაგან ჩვენ არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ მათი მმართველთან შეთანხმება და ერთ ხმაზე მწყობრი ღილინი. ამისთვის თუ ამ ხალხის საქმეებში ამხანაგობის გამგეობა გასაკიცია, იმავე დროს არა ნაკლებ სასაყვედურო და სასირცხია სარევიზიო კომისიის მოქმედება. ამიტომაც საჭიროა მალე კრების დანიშნა, მაგრამ ანგირიშების მისაღებათ კი არა, არამედ იმისთვის, რომ ამ ძველს და ორკოფა სარევიზიო კომისიის კარები გაუღონ და გარეთ მიბრძანონ, ან უკეთ რომ ვთქვათ— გამოცვალონ. შეადგინონ და აირჩიონ ახალი სარევიზიო კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს ანგირიშების შესწორება თავიდან ბოლომდე; ამასთანავე კრებას უნდა წარმოუდგინოს აზრი თუ რანაირათ შეიძლება საქმის გამოწყობა, კარგ ნიადაგზე დაყენება და მისი ხალხის სასარგებლოდ წარმოება. ჩვენ ჩვენის მხრით დავასახელებთ შემდეგ პირთ: ბბ: ერმ. კინიანობის, ტრიფონ ღამაშიძე, მიხეილ კაკაბაძეს, ლუკა სანიძეს და ძველ კომისიიდან ერთს; ბართლომე მოსევილს. ან ამათ მიენდოს ანგირიშის შესწორება, და რაც უფრო საინტერესოა— გვემის შე-

დგენაც იმის შესახებ, თუ რა წესრიგში ჩამდგობი საქმე უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება მეზობრე მუშე ხალხისათვის...)

ჭათურა:  
10 სექტემბერი 1901 წ.

**წაკრილი «ივერიის» ჩაღაპრობის შიშვართ.**

«ივერიაში» (№ 241) დასტამბულია ჩიორას «სახელდასკელა» რომელიც «წერა-კითხვის საზოგადოების» წევრთა წლიურ კრებას ეხება. რაღა თქმა უნდა ამ «წარმოდებში» შერეულია ჩიორასებური «ლითამაძით» არის ასხნილი და განმარტებული, რიგინი, მარტებული მსჯელობა ურედლებლად დამარტებული უნდა იყოს უტყუარ საბუთებზე, ფაქტობრივ მარტო ჩიორებისთვის არ არის საკლდეულო ეს სახანაო ტყეშმობტება... სსენებულ «სახელდასკელაში» ჩიორა, მხვანთ შორის, მუც გადმოძვდა. უური დაუგდეთ მას: «ხად ივერს აქამდე ეს გომელაურება, მიმელაიშეილება და ვუელელები რაღა ამ უმთს, ან რას წელაწადს წამოუარანო ასე უცბათ და ძლიერათ საზოგადო საქმის გულის რკივილმ!... შარშან სსწერო იველი შეიტანეს, რომ წიუელს საკვირანო სსოლანთა გულ-უბრეილო და სსკისის თქვის სმის დვილანთ ამეოლ მოსწავლეით დახმარებით სსგამეობო ვოთოზე წამოსწავლენ და საზოგადო საქმის სასტე სელთ მოიგდონ».

თუკმე შარშან მსოლოთ იმ განზრახვით ნაუქმეთ «წერა-კითხვის საზოგადოებაში», რომ «საგამეობო ვოთოზე წამოსწავლებულიყუთ!» მუკე საბუთი? მკრამ ჩიორას «თავისებურობა» და «ორიგინლობა» სწორთ ეს განსვით. რომ მას უსახულოდც კარკა ესტრება იმათი ლანძღვა-გინება, ვინც მის გემუნებას არ შეეფერება! ასეთია ბუნება ჩიორების! რატომ შარშან ჩაწერა და არა უფრო დრეო—ი საბუთი! ჩიორების კამათი მეტია. ჩიორას კერძო მოსახრებაზე ჩვენ სმასაც არ ამოვიღებდით: ვინ არ იცის «ლიტერატურული» ზნე ჩიორასი, მისი «წმენა», «მისწრება»... მკრამ სსენებული «სახელდასკელა» «ივერიაში» დაბეჭდა, დაბეჭდა ისე, რომ არც ერთი შენიშვნა არ გაუკვირ; ცხადია, რომ განუთი საკსებით ეთანსმება დირსეული თანამშრომლის მოსახრებას. ამიტომ ვთხოვ «ივერიის» სელ-მძღვანელს: შირდაშირ, გადაჭრით გამოთქვას, რა საბუთით მიუჩნევია მას ტყეშმობტებათ ჩიორას მოსახრება ჩემ შესახებ? რომელი ჩემი მოქმედება იძლევა ამ საბუთს? რაში გამოისახა ჩემი ვითომ და დუხინებული სურვილი «საგამეობო ვოთოზე წამოსწავლას»? წინააღმდეგ შემთხვევაში «ივერიაში» მიერ მოწონებული ჩიორას განცხადება, რომ ვითომც მე რაღაც ურეადა ანგარიშები მქონოდას სახეში, როდესაც «წერა-კითხვის საზოგადოებაში» წევრათ ვეწეებოდი, საზინდარ ცილის-წამებათ, განტებ შეთსხულ ტორათ ჩაითვლება.

არსენ მამულაიშვილი

\* ) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა.  
რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი**

ქართული დამატებული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალ სეზონში მ. ძ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით.

**ორი ობოლი**

მელანძამა ნ მოქმედებათ დეიოვის. თარგ. ა. ცაგარლისა, მონაწილეობენ: ქ-ნნი: საფაროვ-აბაშიძისა, ვაბუნია-ცაგარლისა, კარგაოთელი, ნებიერიძისა, მდივანი, ლეევაკი, ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, ვამყრელიძე; გვლევანთვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმელაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, და სხვ. დასაწყისი სწორეთ 8 სათზე ფასები დაკლებულია ვალერია 20 კ. მდე პარტერი 50 კ. მდე ლოჯა 3 მან. მდე. რეჟისორი გ. გუნია. მხადღება ელ. ჩერქეჯიშვილის საბანეოხისოთ ახალი პიესა ოსტროვსკის «მკლები და ცხვრები».

Съ разрѣшенія главнаго управленія по дѣламъ печати, понижена подписная плата на „новое обозрѣнiе“.

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс.—2 р. 50 к., 2 мѣс.—2 р., 1 мѣс.—1 р.; отдельный № въ Тифлисѣ—3 к., внѣ Тифлиса—5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му июня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учреждений сдѣлана скидка; год. плата для иногородныхъ—6 р., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнiя.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Редакторъ Г. М. Тумановъ, издат. К. М. Тумановъ

გამოვიდა და იყიდება ლექსები და პოემები ი. კვლოშვილისა, მეორე შეესებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და ამხ. ფასი ათი რაზური, ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთმობა 25% დაკლებით. ადრესი: Редакция „Квали“ Г-ну. Хоситову.